საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიუტებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 2015 წელი.

№212 (7857)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველოს მიღწევები დადებითად აისახება

2

ბიძინა ივანიშვილი:

ქვეყნის გარედან მართვას არ დავუშვებთ

4

სირცხვილი თქვენ!

ბევრი შეცდომა შეიძლება ეპატიოს ადამიანს, მაგრამ ინაშვილის მიმართ თქვენ მიერ გამოჩენილი უმადურობა ძალზე ძნელი საპატიებელია!

გნაცმოძრაობის უკანონობა კანონიერი იყო, სხვათა კანონიერი კი...

3

გაიხსენონ ნაციონალებმა როგორ ხდებოდა მათი ზეობისას ღამის ორ საათზე „იბერიის“, „იმედის“, „სტერეო ტვ“-ის, „პრესა.გე-ს“, „აი ია“-ს მიტაცება-გადაფორმება

გიორგი ნიუარაძის ოთხწლიანი ხედვა

10

I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

მიმდინარე წლის 11-13 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით თბილისში გაიმართება **I საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი.**

კონგრესის მონაწილეთა რეგისტრაცია ჩატარდება 10 ნოემბერს (12.00-17.00 სთ) და 11 ნოემბერს (09.00-10.00 სთ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (რუსთაველის გამზ. № 52).

კონგრესი გაიხსნება 11 ნოემბერს 10.00 სთ-ზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, იქვე გაიმართება პლენარული სხდომა და სექციური სხდომები.

12 ნოემბერს კონგრესი მუშაობას განაგრძობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ჭავჭავაძის პრ. №1).

13 ნოემბერს გაიმართება კონგრესის შემაჯამებელი სხდომა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

საორგანიზაციო კომიტეტი

ფედერიკა მოგერინი კმაყოფილია

საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის განცხადებით, ის მოხარულია, რომ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ურთიერთობის მნიშვნელობას არსებული პრობლემატური საკითხები ვერ გადაფარავს.

შეხვედრაზე ისაუბრეს ვიზალიბერალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე. ფედერიკა მოგერინის განცხადებით, ამ მხრივ საქართველომ მრავალი მნიშვნელოვანი ვალდებულება უკვე შეასრულა და მუშაობა ასეთივე წარმატებით უნდა გააგრძელოს, რათა წლის ბოლოს ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით დადებითი რეკომენდაცია მიიღოს. როგორც საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა აღნიშნა, ის ოპტიმისტურადაა განწყობილი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ვიზალიბერალიზაცია საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია და ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტი ზაფხულის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისიას სრულად ფუნქციონირების საშუალება არ ეძლევა, ის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

თავის მხრივ, ფედერიკა მოგერინიმ ქართველ დეპუტატებს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე ოპერაციებსა და მისიებში საქართველოს მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერ-მინისტრი

მთავრობა მეცნიერების ხელშეწყობას კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელებს

ჩვენი მთავრობა მეცნიერების ხელშეწყობას კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელებს, განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, სადაც ის მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის გახსნას დაესწრო და გამოფენა დაათვალიერა.

როგორც ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, სულ მალე ხელი მოეწერება ევროკავშირის პროგრამის „ჰორიზონტ 2020“-ის ასოცირებული წევრობის შესახებ ხელშეკრულებას, რაც ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს, რომ კიდევ უფრო გააღრმავონ საერთაშორისო თანამშრომლობა, მოიძიონ დამატებითი თანხები, აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევები.

„რაც მთავარია, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობა კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელებს მეცნიერების ხელშეწყობას, ვინაიდან განათლება არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრიორიტეტი ჩვენი ხელისუფლებისთვის. განათლებული თაობის გარეშე წარმოუდგენელია, თუ როგორ უნდა შევძლოთ ისეთი სიძნელეების გადალახვა, როგორიცაა ეკონომიკა, უმუშევრობა. მე მიმაჩნია, რომ განათლების დონის ამაღლებაზე ყველა ერთად უნდა ვიყოთ ორიენტირებული“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ბოლო 3 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ არაერთი ნაბიჯი გადადგა.

„ჩვენ დავაფუძნეთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო. პირველად თბილისში შეიქმნება ტექნოპარკი. ეს ჩვენი ახალგაზრდობისა და სტუდენტებისთვის იქნება უნიკალური ადგილი, სადაც მათი ნიჭისა და პოტენციალის გამოვლენა მოხდება. ჩვენ გვაქვს ურთიერთგაცვლა ისრაელთან. სააგენტო თანამშრომლობს ევროპის ქვეყნებთან, ამერიკასთან. ჩვენ სან დიეგოს უნივერსიტეტის ფილიალი გავხსენით და წელს სექტემბერში პირველად მივიღეთ საქართველოში სტუდენტები სწორედ ამ უნივერსიტეტში. პირველად საქართველოში ქართველი სტუდენტები მიიღებენ სან დიეგოს უნივერსიტეტის დიპლომებს“, — განაცხდა ღარიბაშვილმა.

ჩვენი ქვეყნის კურსის მტკიცე მხარდაჭერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ვიზიტი საქართველოში ნათლად ადასტურებს ევროკაშირის მტკიცე მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანისადმი.

„ეს არის ფედერიკა მოგერინის პირველი ოფიციალური ვიზიტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. ის ფაქტი, რომ დღეს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოში იმყოფება, ნათლად ადასტურებს ევროკაშირის მტკიცე მხარდაჭერას ჩვენი ევროპული არჩევანისადმი და ასახავს იმ უნიკალურ ურთიერთობას, რაც უკვე გვაქვს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის სახით“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ფედერიკა მოგერინის საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ საკმაოდ ღია, მეგობრული და ამავე დროს საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ.

„ვისაუბრეთ თითქმის ყველა აქტუალურ საკითხზე, რომელიც არის დღის წესრიგში. ჩვენი ძირითადი გზავნილი არის შემდეგი - ევროკავშირის აქტიური ჩართულობა არის გადამწყვეტი საქაერთველოსთვის, როგორც ევროპული დემოკრატიული სტაბილური სახელმწიფოს წარმატებისთვის და მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი მოგერინისგან მივიღეთ დასტური მზაობაზე, რომ უფრო მეტი ინტენსიურობით გაგრძელდება მუშაობა საქართველო-ევროკავშირს შორის“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ 16 ნოემბერს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მეორე სხდომა გაიმართება, სადაც უმაღლეს დონეზე შეჯამდება საქართველოს მიერ მიღებული პროგრესი.

„ჩვენი მიზანია, საქართველო იყოს მართლაც წარმატების მაგალითი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტში. ამ კუთხით ჩვენ მხარს ვუჭერთ ინიციატივის ფარგლებში დიფერენცირებული, უფრო ძლიერი და მტკიცე ურთიერთობების განვითარებას ჩვენს სხვა პარტნიორებთან ერთად. ამის დასტურად ჩვენ გამოვთქვამთ მზაობას, რომ 26 ნოემბერს თბილისში ვუმასპინძლოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის არაფორმალურ დიალოგს, რაც ხელს შეუწყობს ინიციატივის, როგორც საერთო პოლიტიკური ჩარჩოს შემდგომ გაძლიერებას. ჩვენი მხრივ მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩვენი მტკიცე ევროპული არჩევანი, ეს არის არჩევანი ჩვენი ხალხის, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ეს არის არჩევანი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქცევს ნამდვილ, ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მე მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება არის ჩემი მთავრობის უმთავრესი ამოცანა და ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი ინვესტიციაა საქართველოს ევროპულ მომავალში“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს მიღწევები დადებითად აისახება

ჩვენმა მთავრობამ მაქსიმალური ძალისხმევა გასწია საბიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით (VLAP) გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესასრულებლად, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან, ფედერიკა მოგერინისთან გამართული შეხვედრის შემდეგ და იმედი გამოთქვა, რომ ევროკომისიის ანგარიშში, რომელიც დეკემბერში გამოქვეყნდება, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი დადებითად აისახება.

ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, ფედერიკა მოგერინისთან შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებს და საქართველოში არსებულ შიდა პოლიტიკურ სიტუაციას და აღნიშნა, რომ მთავრობა მხარს უჭერს მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობას, ადამიანის უფლებების დაცვას.

ყველაფერს გავაკეთებთ საქართველოში ქალთა უფლებების დასაცავად

მე და ჩემი მთავრობა ყველაფერს გავაკეთებთ საქართველოში ქალთა უფლებების დასაცავად, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „რედისონში“, სადაც მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია — „გენდერული თანასწორობისკენ — გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში“ იმართება.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, მისასალმებელია ამ მიზნის გარშემო მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების გაერთიანება.

„პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 20 წლის მიმოხილვის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი ძალიან ნელია, წინსვლა არის და პრობლემა ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც თანდათანობით მცირდება. დარწმუნებული ვარ, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვით, აგრეთვე გაზრდილი ინფორმირებულობისა და აქტიური მხარდაჭერის წყალობით, პროგრესი უფრო საგრძნობი გახდება.

მისასალმებელია, რომ თითოეულმა ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, შეასრულოს პეკინის მოქმედებათა პლატფორმის მოთხოვნები. გარდა ამისა, გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს 2030 წლისთვის მიაღწიონ პრინციპს — „პლანეტა 50/50-ზე“. მე ვთვლი, რომ ეს ძალიან ამბიციური მიზანია, მაგრამ მჯერა, ამის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. მინდა გითხრათ, რომ პირადად მე და ჩემი მთავრობა ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოში ამ მიზანს მივაღწიოთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მთავრობამ არაერთი ნაბიჯი გადადგა.

ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების პროექტი...

ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის, „ცერნის“ მონაწილეობით ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების უნიკალური პროექტი ხორციელდება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიას“ მესამე პავილიონში განაცხადა, სადაც მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა და გამოფენა დაათვალიერა.

როგორც პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული არის მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიება, რომელიც კარგად გამოხატავს საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას განათლებისა და მეცნიერების მიმართ. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ჩატარების თარიღი სიმბოლურია, ვინაიდან ეს კვირეული გაიხსნა დღეს 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მთავრდება 17 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო დღეს.

„ეს დღე საქართველოში პირველად აღინიშნება ასე მასშტაბურად და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველწლიურად გაგრძელდება და ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდება. თბილისი და მთლიანად საქართველო უმასპინძლებს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს და შეუერთდება მსოფლიოს იმ წამყვან ქალაქებს, რომლებშიც მსგავსი ფესტივალები ტარდება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ამ კვირეულს აქვს მრავალმხრივი დატვირთვა და მიზნები, გამოფენაზე მისულ სტუმრებს საშუალება ექნებათ „ცერნის“ ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის მოძრავი გამოფენა დაათვალიერონ, რაც ასევე ძალიან საინტერესოა, ის პირველად იმართება კავკასიის რეგიონში, რომლის საშუალებით ქართველი საზოგადოება მსოფლიო მეცნიერების უახლოეს და უმნიშვნელოვანეს მიღწევებს ეზიარება.

„მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ „ფონდ ქართუს“ დაფინანსებით, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის „ცერნის“ მონაწილეობით ხორციელდება ნახევარი მილიარდი ევროს ღირებულების უნიკალური პროექტი, რაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის, ჩვენი ახალგაზრდების ჩართულობისთვის“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

ბიძინა ივანიშვილი: ქვეყნის გარედან მართვას არ დავუშვებთ

უამრავი უმეცარი განცხადება აქვთ გაკეთებული „ევროპის სახალხო პარტიას“, გნებავთ ევროსაბჭოს და ეუთოს, — განუცხადა ჟურნალისტებს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებების კომენტირებისას.

თუმცა, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ მათი განცხადებები ყურად არ იღოს. მათს განცხადებებს ჩვენ დიდი ყურადღებით ვუსმენთ, ვპასუხობთ, სადაც საპასუხოა, მაგრამ ის, რასაც საკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა თავის დროზე ახერხებდნენ, რომ გარედან უნდა იმართებოდეს ქვეყანა, ქართველი ხალხი არავინ არ არის და არაფერს ნიშნავს, რას იტყვიან „ისინი“, იმაზე უნდა ვიცეკვოთ, ასე არ იქნება და ვერც იქნება.

ყოფილმა პრემიერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით საქმე ეხება კერძო სუბიექტებს შორის დავას.

სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებენ

ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებას აბინძურებს. მან ამის ერთ-ერთ მაგალითად ეკა გიგაური დაასახელა.

„არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, გიგაურის ხელმძღვანელობით, რომელიც არასამთავრობოდ წარმოგვიდგა და როგორც იქნა, ახლა პოლიტიკაში თავის რეალურ სახეს გვაჩვენებს, ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებაა. საუბედუროდ, ისინი ძალიან აბინძურებენ სამოქალაქო საზოგადოებას. კარგი იქნება, დანარჩენი ნაწილიც, სამოქალაქო საზოგადოებას რომ უწოდებს თავის თავს და რეალურად ნაციონალური მოძრაობის სტრუქტურის ნაწილი არიან, თუ თავადაც დაარქმევენ თავის თავს სახელს, როგორც გიგაურმა, როგორც იქნა გადაწყვიტა“, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს, რითაც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით, არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილის მიერ საკონსტიტუციო სარჩელის მომზადების თაობაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა.

ყოფილი პრემიერი ყველანაირ უკანონო მოსმენას გამორიცხავს.

„ისეთი კაცი უდგას სათავეში უშიშროების სამსახურს, რომ ამას არ იკადრებს“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

თუმცა ნამდვილად გვაზიანებს...

ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი „რუსთავი-2“-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა , — განუცხადა ჟურნალისტებს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა შესაბამის საკითხზე კომენტირებისას.

მთავრობის ყოფილი მეთაურის განმარტებით, პოლიტიკურად მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებები მთავრობას აზიანებს, თუმცა „სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ მან კანონი დაარღვია“.

„შექმნილი სიტუაცია არ არის მთავრობისთვის ხელსაყრელი, ეს არის ხელსაყრელი სწორედ ნაციონალური მოძრაობისთვის. როგორ ასწიეს თემა, ნახეთ. ოსტატები არიან. განა არ ვიცოდი, რომ ამას იზამდნენ? რა მოჰყვებოდა ამას, ძალიან იოლი დასანახი იყო — ნაციოინალური მოძრაობის ხელწერა ხომ კარგად ვიცით, მაგრამ, ამავდროულად, რა ვუყოთ დვალს, აქიმიძეს და ხალვაშს? მათ აქვთ კანონიერი უფლება, იდავონ იმაზე, რაც წაართვეს“, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ბიძინა ივანიშვლის თქმით, პოლიტიკურად სიტუაცია რომ მათთვის სახარბიელო არაა, ესმის მთავრობის წარმომადგენლებსაც.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — თქვა მან, — **პოლიტიკურად, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება წამგებიანი იყო, მაგრამ სამართლებრივად ჯერ არავის დაუსაბუთებია, რომ ურთმელიძემ კანონი დაარღვია. თუ ვინმეს არ მოსწონს ურთმელიძის გადაწყვეტილება, რომელიც პოლიტიკურად ჩვენ ნამდვილად გვაზიანებს, ამისთვის არსებობს ისევ სასამართლო“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

◎ ეგრე არ არის თაყვაო...

ნაცმოძრაობის უკანონობა კანონიერი იყო, სხვათა კანონიერი კი...

გაიხსენონ ნაციონალებმა როგორ ხდებოდა მათი ზეობისას ღამის ორ საათზე „იბერიის“, „იმედის“, „სტერეო ტვ“-ის, „პრესა.გე-ს“, „აი ია“-ს მიტაცება-გადაფორმება

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით, მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ საქმეზე — ქიბარ ხალვაში „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, განჩინება 5 ნოემბერს გამოაქვეყნა, რომლის მეხუთე მუხლის თანახმადაც ტელეკომპანიის დროებით მმართველებად დავით დვალი და რევაზ საყევარიშვილი დაინიშნენ. მეექვსე პუნქტში კი აღნიშნულია, რომ დვალმა და საყევარიშვილმა უფლებამოსილების განხორციელება განჩინების გამოქვეყნების დღესვე, ანუ 5 ნოემბრიდან უნდა დაიწყონ. მეშვიდე პუნქტით კი მოსამართლე ურთმელიძემ „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას და ფინანსურ დირექტორს კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერა.

ნაციონალური მოძრაობის, „რუსთავი-2“-ის და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მოსამართლის ეს გადაწყვეტილება ძალადობრივ და სამოქალაქო დაპირისპირებად შეაფასა და აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა კონსტიტუციური ნორმებიდან გაიყვანა.

პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში სრული პოლიტიკური ისტერიაა, ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის ბრძოლის ინსტრუმენტად კი სასამართლო ხელისუფლება, ზოგადად, სასამართლო და საკონსტიტუციო ორგანო იქცა.

„ღამეული გადაწყვეტილებების მიღებამ მჭიდროდ მოიკიდა ფეხი ჩვენს იურიდიულ სივრცეში. როდესაც გიგი უგულავასთვის უნდა „გამოეცხო“ საკონსტიტუციო სასამართლოს საბრალდებო ნორმის უარმყოფელი გადაწყვეტილება, მათ ეს კარგად შეძლეს, განახორციელეს, ხოლო დღეის მდგომარეობით, ყველა ის ნორმა, რომელიც ხელს უშლის „რუსთავი-2“-ის, პირობითად ავიღოთ, კანონიერ მფლობელს, რომ გახდეს მფლობელი ტელევიზიისა, ყველა ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

არავის დაბადებია პრეტენზია, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპაუაშვილს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ჯიბის მოსამართლე და პოლიტიკური გუნდის წევრია, რომ 2009 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ათი დღის ვადაში სამი მოსმენით მიღებული ის ნორმა, რომელიც კანონიერ ძალაში შესვლამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას შეესაძლებლად მიიჩნევდა. ეს ფაქტი წლების განმავლობაში იგნორირებული იყო და ამაზე კომენტარი არ კეთდებოდა“, — აცხადებს ლორთქიფანიძე For.ge-სთან საუბარში.

როგორც დიმიტრი ლორთქიფანიძე განმარტავს, ქიბარ ხალვაშის იურისტებმა სამოქალაქო — საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის არსებობით აღმოაჩინეს შესაძლებლობა, რომ დაეშვათ აღსრულების უზრუნველყოფის ყველანაირი პირობა და მიმართეს სასამართლოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ დროებითი მენეჯემენტი შესულიყო განჩინების საფუძველზე „რუსთავი-2“-ში, ეს კი არხის მესვეურთათვის, „რუსთავი-2“-ის ადვოკატებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, აბსოლუტური მოულოდნელობა აღმოჩნდა.

„ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი უზრუნველმყოფი ღონისძიება — ეს არის ძირითადი სარჩელის სასარჩელო მოთხოვნების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა მიმართეს სასამართლოს და რომლის ძალითაც ახლანდელ მფლობელებს დაუყადაღეს წილები და მეორე, უშუალოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დასრულდა და სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად აღსრულების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო განხორციელებული, მათ მიმართეს სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლს და რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი (ამის შესახებ ადვოკატ პაატა სალიასგანაც გაიღერდა ინფორმაცია), „რუსთავი 2 „-ის მესვეურები დაუყოვნებლივ მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიხეილ სააკაშვილის დახმარებით, რათა მან უმოკლეს ვადებში, ახლა, უკვე, ეს ნორმა გააუქმოს და სცნოს ანტიკონსტიტუციურად აღსრულება მომავალში“, — აცხადებს პოლიტიკოსი და აღნიშნავს, რომ ეს არის სამართლებრივ-პოლიტიკური ბაკქანალია, ჩვენ კი უკვე ვცხოვრობთ პოლიტიკური აბსურდის ქვეყანაში და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 11 თვით ადრე, თუ არ გამოსწორდა სამართლებრივი საარჩევნო გარემო, რევოლუცია გარდაუვალი იქნება.

„დღეს, რუსთავი-2“-თან დაკავშირებული გარემოებები არ მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რაღაც რევოლუციური გარემოა და ვიღაც უსამართლოდ იჩაგრება. ყველაფერი არის ბაკქანალია, რომელსაც ჰყავს ორი ავტორი, ერთი მხრივ — ნაციონალური მოძრაობა, მეორე მხრივ — „ქართული ოცნება“, რომელმაც თავის დროზე ვერ ამოსდო ლაგამი ნაციონალურ მოძრაობას და ეს პროცესები იქნა მიშვებული აი, ამ მდგომარეობამდე.

კიდევ ერთხელ მინდა დავუსვა კითხვა მათ, ვინც ამის შესახებ არ საუბრობს. სანამ „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუდგებოდა ეს პრობლემა, კარგად გაიხსენოს მან ტელეკომპანიები „იბერია“,„სტერეო ტვ“, „იმედი“, საინფორმაციო საგენტო „პრესა.გე“, ჟურნალი „აი ია“- ხუთი მედიასაშუალება და აგოს პასუხი, რა საფუძვლით მოხდა ამ ტელეკომპანიების და გამოცემების მიტაცება და შუალამისას გადაფორმება. 2004 წლის ივნისის თვეში — აძიმიძისა და დვალისგან „რუსთავი-2“-ის მიტაცება.

არ შემიძლია ჩემი შინაგანი კმაყოფილება არ გამოვხატო იმით, რომ „რუსთავი-2“ უბრუნდება თავის სამართლიან მფლობელებს“, — აღნიშნავს ლორთქიფანიძე.

ეკა გუჩუკური

◎ გულით ნათქვამი

მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონ თეა წულუკიანის მიმართ თავიდანვე უღრმესი პატივისცემითა და სიმპათიით ვიყავი განმსჭვალული მისი ნიჭიერების, პრინციპულობისა და შეუპოვრობის გამო. 2012 წლის საარჩევნო ბატალიების დროს ის ერთგულად ედგა მხარში ბატონ ბიძინა ივანიშვილს და უშიშრად, გაბედულად ებრძოდა ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა სრულიად საქართველოს. იგი დღესაც ერთგულია საკუთარი მრწამსის და განაგრძობს სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმის მხილებას, რითაც აქტიური წვლილი შეაქვს თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევს ამ პატარა, საოცრად მომხიბლავი ქალის ის შემართება და პრინციპულობა, რომლითაც იგი იცავს საკუთარ პოზიციებს, აკრიტიკებს ოპონენტებს, რომლის დროსაც მას არ ღალატობს ტაქტი და რკინისებური ლოგიკა. მის გაბედულებას ბევრი ვაჟკაცი ინატრებდა. მისებური შეხედულებებით ბევრი მეცნიერი მოიწონებდა თავს.

მისი ამასწინდელი გამოსვლაც მსგავსი გაბედულებითა და ლოგიკურობით იყო გაცისკროვნებული, რამაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა საქართველოს საზოგადოებაში. ამ ერთი შეხედვით სუსტმა და ნაზმა ქალბატონმა გაბედა იმის თქმა, რასაც თითქმის ყველა საღად მოაზროვნე, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი გულის სიღრმეში ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა თქმასა და გამჟღავნებას ერიდება. ქალბატონმა თეამ გაბედა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მიუთითა, რომ საქართველოს შინაურ საქმეებში უაპელაციო ჩარევა ჩრდილს აყენებს არა მარტო ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ თანამშრომლობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით შეერთებულ შტატებს, რომელიც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის შუქურას და გარანტს წარმოადგენს. მსგავსი რამ ასევე შეუთავსებელია დიპლომატის საქმიანობასთან, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს კომპრომისების გამონახვისაკენ და არა პროცესების ესკალაციისაკენ. „რუსთავი-2“-ის გარშემო ატეხილი ხმაური ქართული საზოგადოების შიდა პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც ქართული მართლმსაჯულება დემოკრატიის მაღალი სტანდარტების დონეზე გადაწყვეტს. მასში გარედან ჩარევები მხოლოდ და მხოლოდ ამ პროცესს გაამწვავებს და გაართულებს.

საქართველო უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაა, რომელშიც ტოლერანტობა ლამის რელიგიის დონეზეა აყვანილი, ამიტომ ყოველი ჩვენგანი მტკივნეულად განიცდის იმას, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ ამ საკითხებში ჩვენს განათლებას, „შემწყნარებლობისა და სამართლიანობის ანბანს მენტორულად გვიკითახვენ“.

ბარაქალა ქალბატონ თეას იმისათვის, რომ მან მტერსა და მოყვარეს თვალნათლივ დაანახვა ვისი გორისანი ვართ და რომ ჩვენნაირ ერთან მიზანშეუწონელია მოუზომავი გაუწონასწორებელი ლაპარაკი.

„მართალი სიტყვა, ჭკუა-გონება,
დიახ, ეს არის შენი ქონება“.

მინდა ეს სიტყვა სვანური უძველესი ეპოსით დავამთავრო:

„სანთელს დავანთებთ წმინდა ადგილზე,
აუგ ხსენებას მოვერიდებით,
მგელს ბორკილი, დათვს ლაგამი!
დიდება შენდა დალბედნიერო!“

უღრმესი პატივისცემით,

თენგიზ ონიანი.

08.11.2015

◎ მიმართვა

თავი შეიკავეთ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს

„იმ საზოგადოებრივი ინტერესისა და რეზონანსის გათვალისწინებით, რომელიც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის სასამართლო დავასთან დაკავშირებით არსებობს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აუცილებლად მიიჩნევს, განაცხადოს შემდეგი:

ყველას აქვს უფლება, გამოხატოს, მათ შორის, კრიტიკული მოსაზრება, სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყოვლად დაუშვებელად მიიჩნევს სასამართლო კორპუსისა და კონკრეტულ მოსამართლეთა მისამართით ნებისმიერ ისეთ საჯარო განცხადებას, რომელიც აშკარად შეურაცხყოფს სასამართლოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს და შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც სასამართლოს ან/და მოსამართლის დაშინების, ზეწოლის ან, მათზე რაიმე ფორმით გავლენის მოხდენის მცდელობა. ასეთმა განცხადებამ, შეიძლება ასევე დააზარალოს ზემდგომ, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციებში საქმის დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა და მართლმსაჯულების აღსრულება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში არის დამოუკიდებელი, ხოლო მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

სასამართლოს გადაწყვეტილებები ემყარება კანონსა და მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც მოსამართლის მიერ შეფასებულია შინაგანი რწმენის საფუძველზე და ამასთან, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უმთავრესი პრინციპის განუხრელი დაცვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს სახელისუფლო თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, სამოქალაქო სექტორს, ინტერესთა ჯგუფებს, ისევე მასმედიას, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რომლებიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს და იწვევს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვას“, — აღნიშნულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში.

ინტერპრესი

სიტყვა ერის გასაგონად!

სირცხვილი თქვენ!

უმადურობა, დაუნახაობაა ყველაზე მეტად რომ გვტკენს გულს, განსაკუთრებით იმათგან, ვისგანაც არ ელი, ვისაც თავად უამრავი მადლი აქვს „დადებული ქვაზე“, ამ გამოთქმის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც – ასობით ისტორიული ძეგლების ქვებზე! ძნელი გამოსაცნობი არ არის ვინც ვიგულისხმე, ასეთი კაცი ერთია საქართველოში (უშურველად აკეთებდა იგი ამას, თუ შორსგამიზნული მოსაზრებებით, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს).

კაცმა შეიძლება შეცდომა დაუშვა ცხოვრებაში, თანაც, არაერთი, გაბრაზებულ გულზე უკადრებელიც წამოგცდეს (მალევე ინანო და ბოდიშიც მოიხადო), და მაინც კაცად დარჩე, მაგრამ თუ უმადური ხარ ბუნებით (შეძენილი უმადურობა ძნელად წარმომიდგენია), ვეჭვობ, რამე გეშველოს.

ორი 2-3%-იანი პარტია ამოიყენა ივანიშვილმა მხარში – უსუფაშვილის „რესპუბლიკელები“ და ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ (ვისი რჩევით თუ მითითებით არც ამას აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა) და ერთი პიროვნებაც შეარჩია საპრეზიდენტოდ – მარგველაშვილი! ამ სამიდან ორმა – ალასანიამ მთელი პარტიული გუნდით(!) და მარგველაშვილმა – საქართველოს მოსახლეობისთვის შანტაჟით თავსმოხვეულმა პრეზიდენტმა („თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ პრეზიდენტად, თანაც, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, კაპიკს არ დაგახარჯავთ და, საერთოდ, გაგეცლებითო“, – ყველას კარგად გვახსოვს ივანიშვილის მუქარა!), შეიძლება ითქვას, უღალატეს მას. უსუფაშვილიც როდის უგანებს, არავინ იცის, იგი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდება – „რესპუბლიკელებს“ 2016 წლის არჩევნებისთვის სჭირდებათ „ქართულ კოალიციაში“ ყოფნა, თორემ მერე, „თავისუფალ დემოკრატებს“ და „კანგამოცვლილ“ „ნაცებს“ რომ შეეკვრებიან, ამაში ეჭვი არავის ეპარება – ამაზე მეტყველებს განვლილი სამი წლის მანძილზე მათი საქმიანობა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ!

ამ სამი წლის მანძილზე ივანიშვილის მიერ დაშვებულ სხვა შეცდომებს თავი რომ დავანებოთ, აშკარად გამოჩნდა, რომ პოლიტიკაში კადრების შერჩევა ბიზნეს–პარტნიორების შერჩევა არ ყოფილა. ჰოდა, **როცა ამ გამოუსწორებელ შეცდომებს საკუთარი პირით აღიარებ**, როცა პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლებ და №1 პოლიტიკოსიდან №1 მოქალაქე ხდები, **ვინ გრჯის ისევ ვიღაცას, შენთვის უცნობ ადამიანს, თანაც „რესპუბლიკელს“ (რომელ პარტიასაც მოსახლეობაში 2-3%-იანი მხარდაჭერა აქვს მხოლოდ!) რომ უწევ რეკომენდაციას** (აბა, ვიცნობდი საგარეჯოს დეპუტატობის კანდიდატს და ერთი ფუთი მარილი მაქვს მასთან ნაჭამიო, ხომ ვერ იტყვის)? თუ, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც გაიძულეს და გარედან მიღებულ „რეკომენდაციებს“ დაემორჩილეთ ბნო ბიძინა და, რასაც მაკკეინი ლაპარაკობს (ვიკილიკსით გამოქვეყნებულ საუბარში სააკაშვილთან), იმას შეუშინდით? ამისთანა „პარტნიორულ რეკომენდაციებს“ ოკეანისგაღმიდან და მათზე ჩვენი დეპუტატ-მინისტრების „ვაჟკაცურ“ რეაგირებას, ანუ უსიტყვოდ აღსრულებას დიდი ხანია შეჩვეულები ვართ და არაფერი გაგვიკვირდებოდა – გავიხსენოთ, თუნდაც, მხოლოდ ერთი მაგალითი – კახურად კარგად ნაგინები ქალი თავდაცვის მინისტრად რომ დაანიშნინა მიმავალმა ამერიკის ელჩმა მაგინებელ პრემიერ-მინისტრს ყოფილი პრემიერ-მინისტრის შუამავლობით, რომლებსაც (არც ერთს და არც – მეორეს) ფიქრადაც არ ჰქონიათ მსგავსი რამ წინა დღეს! როგორია, ჰა?! კი, ნამდვილად ძალიან მაგარია და „თავის მოსაწონებელიც“ (ანუ ჩვენი „დამოუკიდებლობის“ მაჩვენებელი!), მაგრამ **იმას, რაც თქვენ იკადრეთ ბ-ნო ბიძინა „მაესტროში“, მაინც არავინ მოელოდა.**

ისე მოიქეცით, თითქოს, ხეირიანად არც კი იცნობდით ირმა ინაშვილს, თითქოს არც კი იცოდით ვინ იყო და რას წარმოადგენდა იგი, რა დამსახურება ჰქონდა მას ქვეყნის წინაშე (აფხაზეთში თუ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში) და რა წვლილი მიუძღვოდა პირადად თქვენს გამარჯვებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ყველასათვის მოულოდნელად, ადექით და, როგორც ერთი რიგითი ჟურნალისტი ისე მოიხსენიეთ იგი, რომლისთვისაც, ლამის პატივი დაგიდვიათ და, ოდესღაც(!), ერთი ინტერვიუ მიგიციათ.

არადა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნებისთვის“ ხმების 40% რომ იყო განსაზღვრული თქვენი „რეკომენდატორების“ მიერ (რაზედაც თქვენც ყაბულს იყავით), ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის, სწორედ **ირმა ინაშვილის თავგანწირვის ფასად მოპოვებული ციხის კადრების მთელ მსოფლიოში გასაჯაროებით და ამის გამო ყალყზე შემდგარი, უკიდურესად აღშფოთებული ქართველი ხალხის წყალობით, თქვენი ოკეანესგაღმელი „მფარველი მარჩენლები“ იძულებულნი გახდნენ პირვანდელი გადაწყვეტილება შეეცვალათ და 40-ის ნაცვლად 60% ებოძებინათ, გამარჯვებულად ეღიარებინეთ!** რა თქმა უნდა, ინაშვილს მარტოდმარტოს არ ჩაუდენია გმირობა, **ინაშვილი ერთ-ერთი იმ რამდენიმე ადამიანთაგანი იყო, ვინც მართლა სასწორზე დადო საკუთარი თავის და საკუთარი ოჯახის თავისუფლება და სიცოცხლეც (და არა ისე, თითქოს თქვენც, რომელსაც ამერიკა გიცავდათ, ანალოგიური საფრთხე გელოდათ პოლიტიკაში მათივე „რეკომენდაციით“ ჩართვის გამო), მაგრამ ინაშვილი, ამ თავგადადებული ქართველი პატრიოტების გამაერთიანებელი საერთო სახეა და ასეთად შევა იგი საქართველოს უახლეს ისტორიაში!**

აი, ასეთი ადამიანის ღვაწლის დავიწყება და მის წინააღმდეგ მთელი ხელისუფლების დარაზმვა (გავიხსენოთ „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიაში ჩართული, თუნდაც, მხოლოდ მთავარი ფიგურები – მინისტრები: თავდაცვის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სასჯელაღსრულების, ენერგეტიკის – იმავდროულად ვიცე-პრემიერის, პრემიერ–მინისტრების – მოქმედი და ყოფილი, პოლიციის უფროსები, გამგებლები და კიდევ ბევრი სხვა), **ვფიქრობ, უმადურობაზე მეტია!** და მაინც რა მივიღეთ – მიუხედავად დეპუტატ-მინისტრების ძალისხმევისა და მთელი რიგი გაყალბებებისა, ირმა ინაშვილმა მაინც გაიმარჯვა ქართულ სოფლებში, მისმა კონკურენტმა კი – აზერბაიჯანელებით დასახლებულში და თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებულ, მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ, სპეიალურად შექმნილ უბანზე. **როგორ არ გაგვახსენდეს ტყუპისცალივით მსგავსი მოვლენა – 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც სააკაშვილმა თბილისი და ბევრი სხვა რაიონი წააგო და თავს იმით იმშვიდებდა, რომ მარნეულ-გარდაბან-ახალქალაქში, ანუ აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ რეგიონებში გავიმარჯვეო.** ამის მერე, ოდნავ ეროვნული ღირსება მაინც თუ გაგაჩნია კაცს, როგორ არ უნდა შეგრცხვეს და თვალებში როგორ უნდა შეხედო შენ მშობელ ერს! **ეს სამწუხარო ფაქტი, როდესაც საქართველოს(!) ხელისუფლება სომხების და აზერბაიჯანელების ხმების იმედად არის** (რომლებიც ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, როგორც წესი, ყოველთვის სახელისუფლებო კანდიდატებს უჭერენ ხოლმე მხარს), **იმის მაჩვენებელია, რომ გადაშენებასთან ერთად გადაჯიშების ზღვარზეც ვართ.** და, თუ კვლავაც იმ რეკომენდაციებით და რეფორმებით გავაგრძელეთ ცხოვრება, როგორებითაც ეს 20-25 წელია ვცხოვრობთ, ყველაფერი დასავლეთს შევეკითხეთ და მათი მითითებებით ავირჩიეთ დეპუტატები, დავნიშნეთ მინისტრები, და დასაჭერი თუ არდასაჭერი ხალხის სიაც მათ მოგვაწოდეს, კიდევ უფრო უარესს უნდა ველოდოთ – ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ზნეობრივადაც!

როგორ არ დაგწყდება გული, როგორ არ შეგშურდება ქართველ კაცს მეზობლების, როცა უყურებ აზერბაიჯანის და სომხეთის პრეზიდენტების კაცურ რეაგირებას დასავლეთის მხრიდან მათ შინაურ საქმეებში ჩარევის ყოველ მცდელობაზე, და ამ დროს, საქართველოს ხელისუფლებაში პრეზიდენტი ან პრემიერი კი არა, კაცი არა ჩანს, ვინც საკადრის პასუხს გასცემს ამერიკის და ევროკავშირის დაუფარავ და უხეშ ჩარევას ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თანაც, აბსოლუტურად ყველა სფეროში – არჩევნები იქნება ეს, კანონების მიღება, მთავრობის შემადგენლობა თუ სასამართლო გადაწყვეტილებები; ოლიმპიურ თამაშებზე ხელმძღვანელი დელეგაციის შემადგენლობის განსაზღვრა, მეზობელ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება თუ ომის წამოწყება (და თუ ვინმემ გაბედა და ოდნავ ხმა ამოიღო, ისე დაესევიან მას გრანტიჭამია ე.წ. არასამთავრობები, თითქოს, ამერიკის და ევროკავშირის „დემოკრატ“ დიპლომატ-პოლიტიკოსებს კი არ შეელახოთ ჩვენი – სახელმწიფოს და ერის ღირსება, არამედ, პირიქით, ჩვენ მიგვეყენებინოს მათთვის შეურაცხყოფა)!

ბევრი შეცდომა შეიძლება ეპატიოს ადამიანს, მაგრამ ინაშვილის მიმართ თქვენ მიერ გამოჩენილი უმადურობა ძალზე ძნელი საპატიებელია! სწორედ ეს იყო ბოლო წვეთი ეროვნულად განწყობილ ქართველებში, რომლებმაც საბოლოოდ გაქციეს ზურგი. **თითქმის მთელი ქართველი ხალხის წარმოუდგენლად დიდი სიყვარული და უპირობო ნდობა სამი წლის თავზე საბოლოოდ რომ ჩაკლა და დაასამარო ქართველების გულებში, ამას მოსერხება უნდა!** ძალზე გულსატკენია ყოველივე ეს, ნათქვამია: „საქებარმა ძაღლმა ნიახურზე გადაიფსაო“, სწორედ ისეა თქვენი საქმე, **მე მრცხვენია თქვენს მაგივრად, სიცხვილი თქვენც და თქვენს დანატოვარ სამარცხვინო ხელისუფლებას (და არა სანაქებოს, როგორც თქვენ თვლით), რომელსაც არ გააჩნია ეროვნული ღირსების გრძნობა და, რომელიც ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება დამნაშავე „ნაცმოძრაობისგან“. თქვენს დანატოვარ „ხალხის რჩეულებსაც“ ენა აქვთ მუცელში ჩაგდებული და სახელმწიფო ინტერესების დაცვას, პოლიტიკურ ლაქიად და ენაწაჭრილ მონად (ოღონდ მაძღარ მონად!) ყოფნა ურჩევნიათ** – თვალი გადაავლეთ ამ „ერისშვილების“ ფოტოებს ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ, ერთეულების გარდა ლამის ღილები დაწყდეს ყველას – გაშლილ სუფრასთან სახელმწიფოს მომავალზე ფიქრით ღამენათევებს!

არის კი ამ სამარცხვინო და სავალალო მდგომარეობიდან თავის დასაღწევი გზა? რაც არ უნდა ბევრი ვიყვიროთ და ხალხმრავალი აქციები გავმართოთ, დღეს ეს შეუძლებელია, გამორიცხულია! ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ ის არსებითი ცვლილებები მოხდება საარჩევნო სისტემაში, რომლებიც შვიდ პუნქტად ჩამოაყალიბა „პატრიოტთა ალიანსმა“. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები, პირველ რიგში ესაა: პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის და ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული მაღალი რანგის საჯარო მოხელეებისთვის რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ საარჩევნო პროცესში ჩართვის ან აგიტაცია-პროპაგანდის აკრძალვა; სავალდებულო ხმის მიცემის დაწესება; ყველა დონის საარჩევნო კომისიის პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტება; კვალიფიციური სუბიექტების თანაბრად დაფინანსება და საეთერო დროის თანაბრად განაწილება. ამ ცვლილებების გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება სახელისუფლებო კოალიციის დამარცხება არჩევნების გზით. მხოლოდ ერთი, მეექვსე პუნქტია რაციონალურ აზრს მოკლებული, სადაც სახელმწიფო მოხელეებისთვის ცალკე უბნების ჩამოყალიბებაზეა ლაპარაკი – იმ მიზნით, რომ, თითქოსდა, სპეციალურად შექმნილ უბნებზე ხმის მიცემით, ამ მოხელეებს აღარ დარჩებათ საკმარისი დრო სხვა უბნებზე პროპაგანდისტულ-დაშინებითი აქტიურობისთვის. მაგრამ ამით მხოლოდ ნახევარი-ერთი საათით თუ ჩამოვაცილებთ მათ ხმის მიცემის 12-საათიან პროცესს! ამიტომ, ცალკე უბნების გახსნას ბევრად აჯობებს და ეფექტიც აბსოლუტური იქნება, **თუ ამ კატეგორიის ხალხს: დეპუტატებს, მინისტრებს, მერებს, პოლიციის უფროსებს და გამგებლებს თავ-თავიანთი მოადგილეებით, საერთოდ, აეკრძალებათ საარჩევნო უბნების არეალში, ქუჩაში ყოფნა მთელი დღის განმავლობაში** – ხმის მიცემის შემდეგ ისინი, უკლებლივ ყველანი უნდა წავიდნენ თავ-თავიანთ სახლებში ან დაწესებულებებში სამსახურის ადგილისდა მიხედვით.

ეს პუნქტები თუ არ შესრულდა, ანუ თუ არ განხორციელდა ძირეული ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, არჩევნების გზით გამარჯვებაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნება, ისევე, როგორც თავის და ხალხის მოტყუებაა ამერიკელი სენატორების და კონგრესმენების იმედად ყოფნა – მათთან ჩივილი არჩევნების გაყალბებაზე. რა, ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან ისინი და არ იციან, თუ რა სახელმწიფო ტერორი მძვინვარებდა საქართველოში ცოტა ხნის წინ, და როგორი „დემოკრატიული“ არჩევნები ტარდება დღესაც? მიიღეს მერე რაიმე ზომები? თუ, პირიქით, კიდევ უფრო გააფთრებით იცავენ საკუთარ „ძაღლიშვილს“ და მის მიერ მიტაცებულ „რუსთავი-2“-ს? ანდა, აქამდე არ ჩასულან მათთან ხელისუფლებით უკმაყოფილო ოპოზიციური პარტიების ლიდერები, თუ რა? იქნებ, რომელიმე მიამიტი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ სწორედ ეს ბოლო, მისი მეასე (ეგებ, მეტიც ამ 12 წელიწადში!) ჩასვლა იქნება შედეგიანი? მაგრამ მიამიტი არავინ არის ჭიპმოჭრილ პოლიტიკოსებში (მიამიტი, პატიოსანი ხალხია მხოლოდ!), მათ ძალიან კარგად იციან რისთვისაც დარბიან წინ და უკან ამერიკაში – ყველა ცდილობს ამერიკელებისთვის თავის მოწონებას, რომ ეგებ, მომავალი არჩევნებისთვის მაინც, მათზე შეაჩერონ თავიანთი მოწყალე მზერა საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელმა ამერიკელმა ბოსებმა! ეს არის და ეს!

რაც შეეხება საარჩევნო გარემოს, ფართო გაგებით, მის მოწესრიგებას ამერიკის ელჩის ერთი სიტყვა ეყოფოდა და პატრიოტთა ალიანსის ჩამოწერილი პუნქტები (ისევე, როგორც სხვა პარტიების ადრინდელი მოთხოვნები) სულ ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ ამგვარი „დემოკრატიული“ არჩევნები და ასეთი ხელისუფლებაც ხომ სპეციალურად ჩვენთვის და ჩვენისთანა სახელმწიფოებისთვისაა მოფიქრებული!

„დემოკრატია“ პირდაპირი, ანუ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით – **„ხალხის ძალაუფლება“** მშვენიერია და მისი საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მხოლოდ ლამაზი სატყუარაა გულუბრყვილო ხალხისთვის სახელმწიფოს მმართველობის ილუზიის შესაქმნელად მოგონილი. სატყუარაა, რადგანაც ხალხის ძალაუფლებას, ანუ ისეთ პოლიტიკურ რეჟიმს, როდესაც გადაწყვეტილებებს ხალხი იღებს კოლექტიურად, შეიძლება ითქვას, არასოდეს არ ჰქონია ადგილი დედამიწაზე (თუ არ ჩავთვლით ერთადერთ სახელმწიფოს – კადაფის ლიბიას, სადაც ჭეშმარიტად კოლექტიური მმართველობა იყო და, პრაქტიკულად, კომუნიზმიც დამყარებული!). ხალხის გასაბითურებლად რომ იყო იგი იმთავითვე მოფიქრებული, იქიდანაც ჩანს, თუ როგორ განმარტავდა ამ ტერმინს ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე, პოპულარობით მეორე კაცი ბრიტანეთში შექსპირის შემდეგ, ბერნარდ შოუ 100 წლის წინ: „დემოკრატია – ეს საჰაერო ბურთია, რომელიც თქვენს თავს ზემოთ კიდია და იძულებულს გხდის თავაწეულმა უცქირო მას, სანამ, ამასობაში სხვები ჯიბეებს გიცარიელებენ“! მაშ ახლა რაღა უნდა ვთქვათ თანამედროვე დემოკრატიაზე, როგორსაც ამერიკა ამყარებს ახლო აღმოსავლეთში და, გნებავთ, საქართველოსა და უკრაინაში (პრინციპში, მთელ მსოფლიოში!) – თავის ჭკუაზე, ორმაგი და სამმაგი სტანდარტებით და საგანგებოდ შერჩეული, უფრო კი „გამოყვანილი“ „დემოკრატიის შუქურებით“ სათავეში, **როდესაც სახელმწიფო ტერორი, მასიური წამებამკვლელობები მხოლოდ შეშფოთებებს იწვევს „დემოკრატიულ“ დასავლეთში, ხოლო ამერიკის „ძაღლიშვილის“, იგივე „დემოკრატიის შუქურას“ მიერ ყაჩაღურად მითვისებული ქონების კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნება (სასამართლო გზით!) კი თავისუფალ სიტყვას უქმნის, თურმე, საფრთხეს? ასეთ დემოკრატიას რა უნდა ვუწოდოთ არ ვიცი, რა უფრო მოუხდება მას – ამაშუკელისეული „დემოტრაკია“ თუ რუსული „Дерьмократия“?** არჩევანიც და არადანიც მკითხველისაა!

იაკობ ლეჟავა,
8 ნოემბერი, 2015

◎ ფერისცვალება

ჩვენ „ნაცებად“ ვიცნობდით და თურმე „გირჩები“ და „ქინძები“ ყოფილან

ძალთულ პოლიტიკაში ამ შოკისმომგვრელ სიახლეს შეიძლება კიდევ დიდხანს ვერ ვზიარებოდით, საკუთარი აღმოჩენა თავად ნაცებსვე რომ არ გაეხმაურებინათ. ეს ყველაფერი სულ უბრალოდ და მარტივად მომხდარა. იმ პერიოდში, როცა ნაცმოძისგან განდგომილი ოთხეული ახლად დაფუძნებული პოლიტიკური ცენტრისთვის შესაფერის სახელს ეძებდა, ამ ოთხეულის ერთ-ერთ წევრს, თავის დროზე გარემოს დაცვის მინისტრად ნამუშევარ გოგა ხაჩიძეს, თურმე ფანტაზია მოსძალებია, თვალწინ ნაძვებზე ანცად მოქანავე „გირჩები“ დასდგომია და საკუთარი პარტიის ნათლია თავადვე გამხდარა. გირჩები ასოცირდება სიახლესთან, მარადიულ სიმწვანესთან, კეთილ საწყისთან და ჩვენი პარტიაც ხომ ამ ღირებულებებით იკვებებაო, — ტკბებიან თავიანთი აღმოჩენით ნასიამოვნები „გირჩელები“.

ეს რომ გაუგია საქართველოდან მართმსაჯულებას გაქცეულ და უკრაინაში დაწინაურებულ სააკაშვილს, სულ გულზე მჯიღი უცემია, უთქვამს, ეგღა მაკლია ჩვენი ბუდიდან გამომძვრალ დაუბუმბლავ ქაჯებს დავეგლეჯინოო და ოდესიდან შემოუთვლია: არაფერი შეგეშალოთ, თქვენ თუ სიმწვანეს ეტრფით, ჩვენ თავადა ვართ თვითნაბადი სიმწვანე, გემოვნებით უებრო და მთელს ევროატლანტიკურ სივრცეში სექსვარიაციების სიმრავლით სახელდებული „ქინძებიო“. აბა როგორ, ეგღა აკლია მსოფლიოში რეფორმატორად აღიარებულ ლიდერს ვაჟკაცურ ვნებათა აღმძვრელი ქინძი ულიმღამო წიწმატსა და ოხრახუშში, თუნდაც საყოველთაოდ ცნობილ ბოლოკსა და ტარხუნაში შეეშალოს!

ასე იქცნენ თურმე ნაცებიდან ნაადრევად გაქცეული ოთხეულის პერსონები შემოდგომის სევდიან „გირჩებად“, საქართველოში დარჩენილი და უკრაინას შეკედლებული მიშნაცები კი სექსით, სულიერებითა და ზნეობით სავსე „ქინძებად“.

ბევრმა შეიძლება პირში არ მითხრას, მაგრამ გულში იფიქროს, მოგცლია ერთი, რაში გვაინტერესებს ეს ჩვენი მაოხრებელი ნაცები, რას დაირქმევენ, ხვალ და ზეგ გირჩებად მოგვევლინებიან, ქინძებად თუ კიტრებად, მთავარია, ამ სულელური ნათლობით თავიანთ ევროპელ და ამერიკელ სატელიტებს გზაკვალი არ აუბნიონ და ემანდ შეცდომით ქართველი ხალხის მხარდამჭერებად არ მოგვევლინონო. არხეინად ბრძანდებოდეთ, არა მგონია ისინი ასე იოლად დაიბნენ, თუმცა არც იმის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რაც ამას წინათ სატელეფონო საუბრისას ამერიკელმა სენატორმა ოდესის ქარაფშუტა გუბერნატორს ჰკადრა: **„სერიოზული შეცდომები დაუშვი, არაკორექტულად მუშაობ,** — გაუწყრა ჯონ მაკკეინი სააკაშვილს, — **მე გაგაფრთხილე, რომ ტელევიზიასთან მიმართებაში სისხლიანი სცენარი გამორიცხულია. რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?“**

არადა მაკკეინთან დალაპარაკებამდე, სააკაშვილი საქართველოში მართლაც აპირებდა უკრაინული მაიდნისნაირი სცენარის განხორციელებას. სატელეფონო საუბრების დროს, რომელიც გამოაქვეყნა „ვიკილიკსმა“, ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი მოუწოდებდა თავის თანამებრძოლებს, თანაპარტიელებს, აგრეთვე ჟურნალისტებს, „აეგოთ ბარიკადები“, დაეცვათ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ **„ძალის გამოყენებით“,** განეხორციელებინათ **„რევოლუციური სცენარი“** და თუ დაიღვრება სისხლი, **„ეს ასეც უნდა იყოს!“**

ვერაფერს დაუწუნებ, „რუსთავი-2“-ის, როგორც საქართველოში თავისუფალი სიტყვისა და პლურალური მედიის დაცვის საკაშვილისეული სცენარი ზუსტად ისეთი იყო, როგორც თავად სააკაშვილის მსოფლიო იმიჯს შეესაბამება, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უნიათო, მხდალი და მშიშარა აღმოჩნდა თავად ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი, ნაპროკურორალი და ნამინისტრალი ნიკა გვარამია, რომელმაც თვალის დაუხამხამებლად კი უსმინა და თავადაც უკანტურა თავის ოდესელ შეფს, მაგრამ რკინის ბარიკადების ასაგებად და თავისუფალ სიტყვასთან მებრძოლ ხელისუფალთა უკუსაგდებად არც სისხლი დაუღვრია და არც სარისკო ნაბიჯები გადაუდგამს. ერთადერთი, რის გაკეთებაც გვარამიამ შეძლო, ტელეარხის ირგვლივ ნაცების მომხრეთა კარვები დასცა და განაცხადა: ცოცხალი თავით არც თანამდებობას დავთმობ და ამ შენობაში არც მოსამართლე ურთმელიძის მიერ დანიშნულ ხელისუფლების მხარდამჭერი არხის დროებით მმართველებს გავაჭაჭანეო.

უფრო პრინციპულები აღმოჩნდნენ ნაცების (იმავე „გირჩების“ და „ქინძების“) მხარდამჭერი საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით დემოკრატიის მეხოტბე ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ცალეული პოლიტიკოსები და ექსპერტები. ვეღარც კი დავითვლით რამდენჯერ ანერვიულ-აღშფოთდნენ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროპის სახალხო პარტიაში იმ საშიშროების გამო, რომელიც ვითომ „რუსთავი-2“-ის კერძო მესაკუთრეთა დავის სამართალწარმოების პროცესმა შეუქმნა გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში. ხსენებული სახალხო პარტიის განცხადებებს თუ დავუჯერებთ, თავად ის მოსამართლეა გასასამართლებელი, რომელმაც ტელეარხის მენეჯმენტის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო და არა ნაცების დროინდელი ხელისუფლება და პირადად სააკაშვილი, რომელმაც „რუსთავი-2“ თავის პირად საკუთრებად და რუპორად აქცია. არაო, აშინებენ კოალიციურ ხელისუფალთ სახალხო პარტიელები, ამ პოლიტიკას თუ გააგრძელებთ, მსოფლიოში უკვე მოპოვებულ რეიტინგსაც დაკარგავთ და ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ოცნებასაც სამუდამოდ გამოემშვიდობებითო.

ამ ორომტრიალსა და ბაკქანალიაში კაცი ვერ გაიგებს, ვინ მართალია და ვინ მტყუანი. ეს ჩვენი უცხოელი კეთილისმყოფელნი და შინაური დემოკრატები საქვეყნოდ რომ გაიძახიან, ჩვენ ხალხის ინტერესებს ვიცავთ და არა ცალკეული პარტიებისო, რატომ არ ინტერესდებიან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვის მხარეზეა ხალხი, რომლის 91 პროცენტმა სატელევიზიო გამოკითხვისას („მაესტრო“) მხარი დაუჭირა მოსამართლე ურთმელიძის განჩინებას. ან ჩვენი ამერიკელი პარტნიორები, საინტერესოა, რა პასუხს აძლევენ მსოფლიოში ცნობილ რეჟისოს რობერტ სტურუას, რომელიც კითხულობს: **„რატომ იცავენ ამ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გააანადგურა, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაცა ჩინოვნიკები“.** თუ არ ვცდები, ბატონი სტურუა, ამ ეპითეტებით თქვენს ნამოღვაწარს ამკობს სიმწვანის ხიბლით მონუსხულო ჩვენო ახალმონათლულო „გირჩებო“ და „ქინძებო“.

ოთარ ხუციშვილი

◎ ვიწრო თვალსაწიერი

ოაზისი უმეცრების უდაბნოში

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ დაარსდა 1918 წელს. ესე იგი იმ დროს, რომელსაც მსოფლიოს გამოჩენილი თეორეტიკოსები საქართველოსთვის (1918-21წ.წ.) მცირე ოქროს ხანად მიიჩნევენ; მეორეც, არც ერთ სხვა გაზეთში, ინტელექტუალებს საშუალება არ ეძლევათ სტატიები გამოაქვეყნონ.

მართალია, ხანდახან, როდესაც რედაქცია ჩათვლის, რომ სხვაგვარ მოსაზრებასაც უნდა დაეთმოს გაზეთში ადგილი, ამით სარგებლობს ზოგი რუსეთუმე და თავის „მოსაზრებას“ ფართო საზოგადოებას უზიარებს.

მაგალითად, ერთი რუსეთუმე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ უკრაინელებს დასავლეთი აქეზებს, უარყოფითად განეწყონ კაცობრიობის მხსნელ რუსული სახელმწიფოს წინააღმდეგო. პირიქით კი არის — დასავლეთი აშოშმინებს უკრაინელებს, ვინაიდან ისინი განუზომელად დიდ გულისწყრომას გამოხატავენ კრემლის აგრესიის წინააღმდეგ.

უკრაინელები იბრძვიან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, რასაკვირველია, დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. ვისაც არ უნდა გაუკვირდეს, ეს ხალხი დიდ ენერგიას ხარჯავს იმის დასამტკიცებლად, რომ უკრაინელები ძლიერ განსხვავდებიან რუსებისაგან. რასაკვირველია, ეს ასე არ არის, მაგრამ უკრაინელების დაუოკებელი სურვილია, რუსებისაგან ძლიერ განსხვავებულად მიიჩნიოს მსოფლიო საზოგადოებრიობამ. უკრაინის სახელოვანმა შვილმა მიხეილ გრუშევსკიმ, რომელმაც უკრაინის ისტორიას ათი ტომი მიუძღვნა — განაცხადა: ჩემი მიზანია, ისეთი უკრაინული ენა შეიქმნას, რომელსაც რუსულ ენასთან ერთი სიტყვაც არ ექნება საერთოო. ბატონი მამუკა არეშიძე ამას წინათ უკრაინაში იმყოფებოდა და განცვიფრებული იყო უკრაინელების შემართებით — ამ ხალხს ვერავითარი აგრესორი ვერ დაამარცხებსო. სავსებით ვეთანხმები არეშიძეს, მაგრამ უკრაინელი ხალხის ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ ძლიერ წყენას გამოვხატავ — მან შეიფარა ქართველი ხალხის მიერ პოლიტიკური სარბიელიდან განდევნილი თაღლითები და მათ მაღალი თანამდებობები უბოძა. ჩვენ გვესმის საქმის ვითარება — ეს ყველაფერი, დასავლეთის კარნახით მოხდა, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებას პრინციპულობა რომ გამოეჩინა, ვითარება სხვანაირად წარიმართებოდა.

საერთოდ, სამარცხვინოა ყოველგვარი „უმეობა“ — თუნდაც ამერიკული, შვეიცარიული და სხვა.

ბატონმა ბიძინამ კარგად შენიშნა — ბუნებაში არ არსებობს ქართველი პოლიტოლოგი და ექსპერტიო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. თავის მოსაწონებლად თითქოს არკვევენ, თუ რა ხდება ამერიკის სენატში, ირანში, კამბოჯაში და ასე შემდეგ, ხოლო ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე ვერავითარ მნიშვნელოვანს ვერ იტყვიან. მათ არ ძალუძთ ქართველი ხალხის განათლება და დაკვალიანება. ერთ—ერთი ქართველი რუსეთუმე, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს მიმდინარე მოვლენებზე და უახლოეს წარსულში ცნობილი სეპარატისტის მრჩეველი იყო, წერს: საბჭოთა კავშირის ჩაის მოთხოვნილების 97 პროცენტს საქართველო აკმაყოფილებდაო. მტკნარი სიცრუეა. საქართველო ჩაის მოთხოვნილების მხოლოდ 55 პროცენტს აკმაყოფილებდა. „97“ ის ციფრია, რაც გამოხატავს საბჭოთა კავშირში ჩაის წარმოებაში საქართველოს წვლილს. მცირე რაოდენობის ჩაი მოჰყავდათ აზერბაიჯანსა და კრასნოდარის მხარეში.

როცა უბრალო სტატიკურ მონაცემებში ვერ გარკვეულხარ, მოვლენებში გაერკვევი?! — მით უფრო, თუ მოვლენების გასარკვევად არავითარი კრიტერიუმები არ არსებობს.

ვაღიაროთ, ძირითადად ქართული ჟურნალისტიკა დაკომპლექტებულია უმეცარი გოგო-ბიჭებით, რომელთაც ცხოვრების ყველა სფეროში „თავიანთ მოსაზრებას“ გამოხატავენ, ფიქრობენ, რომ (რასაკვირველია, თავიანთი მოკლე ჭკუით), სააკისტები დასავლეთის დახმარებით ხელისუფლებაში დაბრუნდებიან და შესაბამისად იქცევიან, ტელევიზიებიც იგივეს ფიქრობენ. მაგრამ ავიწყდებათ ერთი ფაქტორი, რასაც ქართველი ხალხი ეწოდება.

საქართველოს მოსახლეობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს, რათა სააკაშვილის რეჟიმი უახლეს მომავალში ძირფესვიანად ამოიძირკვოს.

ცალკე განხილვის თემა უნდა იყოს სატელევიზიო ფაცხების „კავკასიის“ და „ობიექტივის“ საქციელი. მაგალითად, „ობიექტივი“ 24 საათის განმავლობაში უშვერი სიტყვებით ლანძღავს „ოცნებას“ და მის ხელმძღვანელს ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ერთმა ტელემაყურებელმა ასე მოიხსენია ბატონი ბიძინა — სამეგრელოდან ჩამოსვლა მიჭირს, თორემ, თუ თბილისში ჩამომიყვანთ ივანიშვილს კედელზე ტვინს მივასხმევინებო. ტელეწამყვანი კი ბრიყვული გამომეტყველებით მადლობას უხდის ზემოხსენებულ ტელემაყურებელს...

ამტკიცებენ, რომ „ობიექტივი“ არის მეორე „რუსთავი-2“, მაგრამ „რუსთავი-2“ ცოტა დიპლომატიურად იქცევა — მაყურებლის ათი „ზარიდან“ სამს „ოცნების“ სასარგებლოდ უშვებს, ხოლო „ობიექტივი“ — არც ერთს.

ქალბატონმა ირმა ინაშვილმა ამ ტელევიზიით საჯაროდ განაცხადა: „ოცნებამ“ ქართველი ხალხის იმედები სამუდამოდ დაამსხვრიაო. რა უნდა ეწოდოს ასეთ განცხადებას, თვით მკითხველმა გაარკვიოს.

თარხან-მოურავისა და ინაშვილის პროგრამას რომ გაეცნობით, უნებლიეთ მოგაგონდებათ სკოლამდელი ასაკის ბავშვების პოლიტიკოსობანას თამაში. მათი პროგრამა ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას.

რომ ჰკითხოთ, პატრიოტები ვართო და ვერ აცნობიერებენ იმას, რომ სააკაშვილის დოლაბზე წყალს კი არა მსოფლიოში ყველაზე წყალუხვ მდინარე ამაზონს უშვებენ. მათ რომ ეროვნული თვითშეგნების არსი ესმოდეთ, არ მოიქცეოდნენ ისე, როგორც სინამდვილეში იქცევიან. ადამიანზე, რომელიც გვერდით დგომას ნათელაშვილს შესთხოვს, რა წარმოდგენა უნდა შეგექმნას, თვითონ მკითხველმა თქვას. ეგრეთ წოდებულ „პატრიოტთა ალიანსს“ უმალვე გამოეხმაურნენ და გვერდით დგომა აღუთქვეს ფსევდოპარტიებმა, როგორებიც არიან: კუკავას, ალასანიას, ბურჯანაძის, ჩიხრაძის და სხვა პარტიები. აშკარაა, ეგრეთ წოდებული ნაციონალების პარტია, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ერის წინაშე დამნაშავეა. ასე თუ არის, მაშინ რატომ ეთმობა მას გაზეთების ფურცლები და ეთერი?!

ქართული თვალსაწიერი ზემოხსენებული პოლიტიკური სპექტრით ძლიერ შემცირდა. იმისთვის, რომ ეს სავალალო მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსწორდეს, საჭიროა ყველა ინტელექტუალი მოწოდების სიმაღლეზე დადგეს და სათანადო შეფასება მისცეს შექმნილ ვითარებას.

გაზეთებსა და ტელევიზიებს ვერაფერს ვურჩევ, ვინაიდან მათი გამოსწორება შეუძლებელია. მხოლოდ ეს კია — „საქართველოს რესპუბლიკას“ ვთხოვ, შესამჩნევად გაზარდოს გაზეთის ტირაჟი და გააორმაგოს მისი მოცულობა. ამისთვის საჭიროა ფინანსები, რაც ხალხმა უნდა გაიღოს.

შეიძლება „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ უხერხულად მიიჩნიოს თავისი გაზეთის საქებარი სტატიის გამოქვეყნება, მაგრამ ეს აუცილებელია. უმეცრების უდაბნოში ყოველთვის წარმოიშვება ოაზისი.

თუმცა წინამდებარე სტატიაში ამ გაზეთის მიმართ მცირეოდენი კრიტიკა მაინც არის — მხედველობაში მაქვს რუსეთუმეების გამოხდომები.

ონისე მწარიაშვილი

ადამიანი, რომელსაც ვეძებდი

***ბელინსკის** ნათქვამია: „ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს. ისტორიას კი — თავისი კრიტიკული მომენტები: ადამიანზე შეუცდომლად შეიძლება იმსჯელო მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ მოქმედებდა და როგორი იყო იგი იმ მომენტში, როდესაც ბედის სასწორზე იდო მისი სიცოცხლეც, ღირსებაც და ბედნიერებაც.“ საგულისხმო ნათქვამია.*

მართლაც, ყოველი ადამიანი მისეული ნიშატით, მადლითაა გამორჩეული. რაც არ უნდა ვიგულისხმოთ ადამიანის ცნებაში, იგი არ არის ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი არსება, დროუამს რაღაც მიაქვს, მაგრამ არა ყველაფერი. რჩება საქმე და ადამიანის ღირსება. ასევე სულის ლტოლვა, შორეული და სასურველი. სრულყოფილებისაკენ მხოლოდ მისხალ-მისხალ სავალი გზა მიემართება. ამ გზაზე სიარული რთულია, მაგრამ საპატიოც. და ვინც მოახერხებს ამ სავალის ღირსეულად გავლას, ის ჭეშმარიტი ადამიანია.

ხშირად გვესმის, რომ ნამდვილი მამაკაცები უკვე აღარ არიან, ერთეულების გარდა ყველანი საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტნენ და გარეთ არ იხედებიანო. მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ცხოვრების ამ გაფერანებულ უდაბნოში, შეიძლება მბუუტავი ღვთაებრივი ლამპარი შენიშნო. იპოვო ნამდვილი ადამიანი.

თბილისიდან მიკროავტობუსით სამეგრელოსკენ მგზავრობისას , ჩემ გვერდით აღმოჩნდა ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც საოცარი კმაყოფილებით მესაუბრა საწარმო „არქეოპოლისის“ ხელმძღვანელ დემურ გადელიაზე: **„მრავალშვილიანი დედა ვარ, რომ არა ის ღვთისნიერი ადამიანი, ერთი შვილი ნამდვილად დამეღუპებოდა... ვის არ მივმართე, ვის არ ვთხოვე დახმარება, სოციალურმა სამსახურმა მიზერული თანხა გამოყო, იმ დალოცვილმა კი ქალიშვილი სიკვდილს გადამირჩინა...“** მან უზომო მადლიერება გამოხატა იმ ადამიანის მიმართ, რომელთაც თურმე ერთხელ შეხვდა და საკუთარი ოჯახის სიდუხჭირე და მდგომარეობა აუხსნა. სწორედ ამ ქალბატონმა ბრძანა **„ვიპოვე ადამიანი, რომელსაც ვეძებდიო“.**

გონებაში ჩამრჩა ეს სიტყვები „ვიპოვე ადამიანი, რომელსაც ვეძებდი“. შეუძლებელია არ დავინტერესებულიყავი იმ პიროვნებით, რომელსაც ეკუთვნოდა ეს სამადლობელი სიტყვები. ცნობილია დემურ გადელიას სიქველე და გულისხმიერება. თუ თვალს გადაავლებ მის წარსულ საქმიანობას, შეუძლებელია არ აღფრთოვანდე. მან მძლავრი საწარმო ჯერ კიდევ გასულ საუკუნის — 80-იან წლებში შექმნა მექანიზაციისა და ავტოსატრანსპორტო გაერთიანების სახით. როცა დადგა გაუსაძლისი შიდა არეულობის, სამოქალაქო დაპირისპირების დრო, როცა ძმა-ძმას დაუპირისპირდა, ქვეყანაში პირწმინდად განადგურდა, რაც წლების განმავლობაში შეიქმნა, ანუ აღმოვჩნდით უგუნურების პიკში. ვერ შევიგნეთ, რომ რაც გაგვაჩნდა, მას მოვლა და რუდუნება სჭირდებოდა. სამწუხაროდ, არ დარჩა არც ერთი საწარმო, რომელმაც შესძლო ფუნქციონირების გაგრძელება. თუმცა ამ გაპარტახების, მოშლის, მიტაცების პერიოდში გამონაკლისი დემურ გადელიას ორგანიზაცია აღმოჩნდა. მან სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა კომპანიის ტექნიკა, ტერიტორია და სრული უპატრონობისა და ქაოსის ჟამს მოახერხა, თანდათან აემოქმედებინა ორგანიზაცია. შემოიკრიბა ძველი და ახალი თანამშრომლები და ჩამოაყალიბა საწარმო სახელწოდებით „არქეოპოლისი“.

წლები მოანდომა იმას, რომ შეეძინა ახალი და თანამედროვე ტექნიკა და გაეგრძელებინა საქმიანობა, რომელიც მოიცავს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონს. „არქეოპოლისის“ წარწერით ტექნიკასა და მანქანებს ნახავთ რაჭაში და მესტიის მიმართულებით გზის მშენებლობაზე, ჩხოროწყუს თუ ფოთის ტერიტორიაზე, იმერეთსა თუ გურიაში.

ილია ჭავჭავაძეს გონივრულად აქვს ნაბრძანები: „ქვეყანა ტაძარია კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდესო“. ეს მცნება შეიძლება მივუსადაგოთ დემურ გადელიას საქმიანობას. ის გახლავთ ცოცხალი მაგალითი, თუ როგორ ექცეოდა ყოფილი ხელისუფლება ნამდვილ მეურნეს, მზრუნველ ადამიანს. ჯერ მესტიამდე გზის ურთულესი, 30-კილომეტრიანი მონაკვეთი მოაწყობინეს შავი საფარით, შემდეგ დაავალეს მესტიის პოლიციის თანამედროვე შენობის აგება, რაც თითქმის ოთხი მილიონი ლარი დაჯდა, მაგრამ თანხის გადახდაზე უარი უთხრეს. უფრო მეტი. მოულოდნელად საწარმოს თავს დაესხნენ შინაგან საქმეთა ანტიტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლები და თითქოს დანაშაულებრივი ქმედებების მოტივით საწარმოში ჩხრეკა ჩაატარეს, 2004 წლიდან მოყოლებული ყველა დოკუმენტი ამოიღეს და შეთითხნილი საბაბით წაიღეს.

ეს იყო ბარბაროსული გამოვლინება. დამცირება. სიმწრით აღორძინებული და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებული საწარმოს მოშლის, განადგურების, გაკოტრების კლასიკური მაგალითი.

თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო. საწარმოს კარზე ჟანგიანი ბოქლომი ჩამოეკიდა, ქუდი დაეხურა და ხელი აეღო რუდუნებით შექმნილ საქმიანობაზე. იყო ამგვარი ფიქრიც, რომ აღარ ღირს გარჯა და საქმიანობა. სამწუხაროდ, ადამიანებს ხშირად უდგებათ სასოწარკვეთის, სულიერი კვდომის წუთები. მაგრამ ამ ურთულეს დროსაც გამოავლინა დემურ გადელიამ შინაგანი სიმტკიცე და ნამდვილი მეურნის თვისებები. არ დანებდა, არ ჩაიმუხლა, არ ჩამოყარა ხელები, პირიქით, გვერდზე დაიყენა თანამოაზრენი, რომლებიც მზად აღმოჩნდნენ, თვეობით უხელფასოდ ემუშავათ... და ასე თანდათან, როგორც იტყვიან, „წელში გაასწორა“ საწარმო, მალე იგი აქცია ქვეყანაში ერთ-ერთ წარმატებულ და კონკურენტუნარიან კორპორაციად.



მისი ცხოვრების ბედისწერას ლანდივით გასდევს, წელში გამართვის, ჩამუხლვა-დაცემამდე მიყვანისა და ისევ ადგომის რთული პერიოდი... და ეს ადგომა ასობით ადამიანის დასაქმებაში, მათი შრომის დაფასებაში, გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარებაში გამოიხატება.

რადგან საწარმო არ მენახა, თავს უფლება მივეცი, მისთვის შორიდან მაინც შემევლო თვალი, რით არის ახლა გამორჩეული „არქეოპოლისი“? ფაქტობრივად, სენაკის რაიონში თხილის გადამმუშავებელი კერძო საწარმოების, მომრავლებული ბანკებისა და აფთიაქების გარდა, არაფერი ფუნქციონირებს.

ადამიანი, როცა საწარმოს ეზოში დამონტაჟებულ მაღლივ „აგრეგატებს“ დაინახავს (მათი დანიშნულება არ ვიცი), ერთი შეხედვითაც დარწმუნდები, რომ აქ საქმიანი გარემოა. ასფალტითა და ღორღით, ცემენტით დატვირთული მძიმეწონიანი სატვირთო მანქანები მიმოდიან. ადამიანები შრომობენ და ირჯებიან, სასიამოვნო განცდა გეუფლება ასეთ დროს და კმაყოფილებით გევსება გული.

ეს ადგილი თითქოს პატარა მოციმციმე, ნათელი ალაგია, სადაც ადამიანთა დიდი ჯგუფი მოღვაწეობს. იგი არა მხოლოდ ერთეულთა ხელის გამმართველი და გაჭირვების ტალკვესია. მის სახელთანაა დაკავშირებული სამოქალაქო ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისადმი მთავრობისაგან მატერიალური და ფინანსური დახმარების გამოყოფა. რაიონის დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენა, წმინდა ალექსი ბერის სახელობის ტაძრის მშენებლობა, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის აღდგენა-რესტავრაცია. მარტვილში საკათედრო ტაძრამდე და მამათა მონასტრამდე მისასვლელი გზების დაგება. სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლეში მდინარე „ონტოლოზე“ ქვის თაღოვანი ხიდის მშენებლობა, სენაკში, ზუგდიდში, აბაშაში, მარტვილში, ხონში, ქუთაისში, ზესტაფონში და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და აღდგენაში აქტიური მონაწილეობა. გაჭირვებაში მყოფთა სამშენებლო მასალებით დახმარება და ასე შემდეგ. ყველაფრის ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია...

იგი არ ჰგავს ოცნებებით ფრთაშესხმულ ყმაწვილს. არასდროს უმზერს ადამიანებს ცივი მზერით, არც ყალბი თავაზიანობით. არ თამაშობს მოგონილი ილეთებით. მიუხედავთ პირადი და ოჯახური ტრაგედიებისა (დაკარგა მეუღლე, ძმები და უახლოესი ადამიანები) არ შეცვლილა მისი რწმენა, სიცოცხლისმოყვარეობა. არ დამდგარა ცხოვრების კიდეზე, პირიქით ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და ცდილობს, აქტიური, სხვებისადმი კეთილგანწყობის მდგომარეობა შეინარჩუნოს.

იგი სანახევროდ არაფერს აკეთებს. მრავალშვილიან, ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა იცის გარჯის ფასი. სწამს და სჯერა ადამიანებისა და საკუთარი გამოცდილებისა. ვერ ეგუება უგულო, უქნარა პიროვნებებს. დარწმუნებული ვარ, არასდროს განუდგება საკუთარ თავს, რწმენასა და ქვეყანას. ჭეშმარიტად სისხლსავსე ცხოვრება ანიჭებს კმაყოფილებას და სხვანაირად არ შეუძლია.

ერთეულთა შორის მართლაც აღმოვაჩინე მეცენატი, მეურნე ადამიანი, რომლის სამუშაო დღე, როგორც მითხრეს, დილის ექვს საათზე იწყება და გვიან ღამე მთავრდება. ის არ ირგებს ნიღაბს. მან მართლაც შექმნა საკუთარი პიროვნება. თავისი პოზიცია, თავისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. იგი ცხოვრობს და შრომობს იმ პრინციპით და ზნეობრივი ნორმებით, როგორიც საკუთარ საქმიანობაში აქვს დამკვიდრებული.

საქმიანი თვისებების გამო ორჯერ გამოუცხადა სენაკის მოსახლეობამ ნდობა და აირჩია პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად. იგი ჭეშმარიტად ზრუნავდა საკუთარ ამომრჩეველზე. ამიტომაც გახდა სენაკის „საპატიო მოქალაქე“. არც სამეცნიერო ხარისხი დაუცავს და წიგნები გამოუცია იმისათვის, რომ საკუთარი განსწავლულობა წარმოაჩინოს. ყველაფერს პასუხს სცემს საწარმოს გამართულობა, რომელსაც უძღვება, ის საქმიანობა და ის ადამიანები, რომლებთანაც ერთად დგას ქვეყნის მშენებლობის რიგში. სწორედ ამიტომ ორჯერ გახდა „ღირსების ორდენოსანი“.

ამისთვის ღირს ამქვეყნად ცხოვრება და მოღვაწეობა.

ადამიანი არ არის დროის გარკვეულ ქრონოლოგიაში ჩატეული არსება, რომელიც იბადება ამა და ამ წელს და კვდება ამა და ამ წელს. ადამიანი იწყება იქ და მაშინ, როცა გამოავლენს თავის კეთილშობილურ, დიად ძალას, აქვს საშუალება, უფლით მონიჭებული სიცოცხლის ჯილდო მოახმაროს სხვათა ბედნიერებას, ტოვებს კვალს, გულთან გულით ნაამბორალს, მარადიულ სუნთქვასა და ხიბლს.

სწორედ ასეთია დემურ გადელია.

ბორის დავითაია,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

◎ ალიან-ჩალიანი

მწყობრიდან გამოსული გზები აღარ იქნება

საძართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაციას ახორციელებს.**

მიმდინარე სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერა.

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შიდა ქუჩებს რეაბილიტაცია 1980 წლის შემდეგ არ ჩატარებია. გზები მწყობრიდან იყო გამოსული და მასზე გადაადგილება მოსახლეობას დისკომფორტს უქმნიდა. ქუჩების რეაბილიტაციის შემდეგ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1400 ოჯახი უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებს ქალაქის ქუჩებში მოძრაობას“

ამჟამად მიმდინარეობს, ტაბიძის, თუმანიანის, გიორგი ბრწყინვალის, კოსტავას, ხერგიანის და თრიალეთის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები. უკვე დასრულებულია თაყაიშვილის ქუჩისა და დაბა მანგლისში 3 წყალგამტარი მილხიდის რეაბილიტაცია. სამუშაოებზე 20-მდე ადამიანია დასაქმებული. უწყების ცნობით, პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 2 379 873,00 ლარია. სამუშაოები 2015 წლის მაისში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

ბორჯომში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტის **ფარგლებში ყოფილი სანატორიუმის „მთის ხეობისა“ და პანსიონატ „ბახტრიონის“ მისასვლელ გზებზე, ასევე რუსთაველის ქ. №77 და აღმაშენებლის ქ. №28 ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტი დაიგება.**

სადგერის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის მისასვლელ გზაზე კი გათვალისწინებულია არმირებული ბეტონის მოწყობა. როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი დიმიტრი ყიფიანი აღნიშნავს, ამ ეტაპზე ხორციელდება ძველი ამორტიზებული საფარის დემონტაჟი და მიწის მოსამზადებელი სამუშაოები. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 160 000 ლარით ფინანსდება და მას შპს „ლუკრი“ ასრულებს.

გოძიაშვილის პარკში 15 ძირი გამხმარი და ავარიული ხე მოიჭრება

შპს „ბიოაგროს“ მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის დასკვნის საფუძველზე გოძიაშვილის პარკში 15 ძირი გამხმარი და ავარიული ხე მოიჭრება. ღონისძიებას თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური სანიტარიულ-მოვლითი ღონისძიებების ფარგლებში ახორციელებს.

„ფიტოსანიტარიული მონიტორინგი ვ. გოძიაშვილის პარკში არსებულ 220 ძირ მწვანე ნარგაობას ჩაუტარდა. შედეგად დადგინდა, რომ ხე-მცენარეებზე გავრცელებულია მავნებელ-დაავადებები, რომლებიც ხეების ნაწილობრივ ან სრულ დაზიანებას და ხმობას იწვევს. სწორედ მავნე ორგანიზმების შეზღუდვის მიზნით, შპს „ბიოაგროს“ რეკომენდაციის საფუძველზე, 15 ძირი გამხმარი და ავარიული ხე მოიჭრება. „შესაბამისად, აღნიშნული ხეების ჭრა არანაირად არ უკავშირდება რაიმე სახის მშენებლობას ან სხვა სახის ინფრასტრუქტურულ პროექტს“, — აცხადებენ მერიაში.

ბატონო ნიკო, მდაბლად ვხრით თავს თქვენი ხსოვნის წინაშე

პროფესორ ნიკოლოზ ბექაურის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

უსაზღვროდ დიდია პროფესორ **ნიკოლოზ ბექაურის** ღვაწლი ქიმიური მეცნიერების, ქიმიური ტექნოლოგიის, საქართველოს ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიებისა და განათლების განვითარების საქმეში. ამაზე მეტყველებს მის სახელთან ასოცირებული გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, საავტოროების, ორასზე მეტი სტატიის ჩამონათვალი და ათეული წლების მანძილზე აღზრდილი ქიმიკოს-ინჟინერ-ტექნოლოგთა სიმრავლე, მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეების ინიციატორი და ავტორი იყო.

ამ დიდი მეცნიერის საინტერესო და ღირებული შრომები ეხება არამარტო ნავთობური საწვავების გაკეთილშობილებას და ოქტანური რიცხვის გაზრდას. ალუმინ-სილიკატური თიხა-მიწების კატალიზატორებად გამოყენების საფუძველზე, არამედ ნავთობებიდან სხვა ძვირფასი პროდუქტების ლუმინოფორების, თეთრი ზეთების და ა.შ. მიღების ტექნოლოგიების შემუშავებას და დანერგვას.

ბატონმა ნიკომ საქართველოს ნორიოს ნავთობიდან მიიღო ქართული ლუმინოფორი „ნორიოლის“, რომელიც გამოიყენება ლითონებისა და პლასტიკური მასების საფუძველზე დამზადებული დეტალების დეფექტოსკოპიაში. მის სახელთანაა დაკავშირებული არასასაქონლო დანიშნულების ნავთ-გაზოილის ფრაქციის კატალიზური გარდაქმნით ლუმინესცენტური სითხის „შუბეკოლის“ მიღება, რომელმაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საპატიო ჯილდო დაიმსახურა ნაკლები ტოქსიკურობის, მიღებისა და მოხმარების წესის სიმარტივისა და სიიაფის გამო.

უდავოდ დიდია ამ პრაქტიკოსი მეცნიერის კვლევები ბუნებრივი ნედლეულის გუმბრინის გამოყენებასთან დაკავშირებით. მან რიფორმინგის პროცესში კატალიზატორად პირველმა გამოიყენა გააქტივებული გუმბრონი სანათი ნავთისა და ნავთ-გაზოილის ფრაქციიდან რეაქტიული საწვავის მისაღებად.

ასევე ღირებულია მეცნიერული კვლევები, სადაც მან შეისწავლა ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა სხვადასხვა მისართის — სოფლის მეურნეობის თხევადი ნარჩენების და მეორადი პროდუქტების თანაობისას ნავთობების ატმოსფერული გამოხდის პროცესში.

მნიშვნელოვანია ბატონ ნიკოს ღვაწლი საქართველოს ნავთობებიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პატივსაცემად სახელდებული მინერალური თეთრი ზეთების „სპიოლ-1“ და „სპიოლ-2“ მიღებასთან დაკავშირებით. მისი ხელმძღვანელობით პრაქტიკულად განხორციელდა აღნიშნული ზეთების მისაღებად მინი დანადგარის მონტაჟი ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე „სპიოლ-1“მა და „სპიოლ-2“-მა სინთეზური და ქიმიური ბოჭკოს ძაფის ფორმირებისთვის საჭირო შემზეთავში შეცვალა ძვირად ღირებული და მწვავედდეფიციტური სილიკონის ზეთი, ასევე ამ უნიკალურმა ზეთებმა ფართო გამოყენება ჰპოვა როგორც ანტიადჰეზიურმა საშუალებამ წნეხფორმებში ტექნიკური პლასტიკური მასალიდან დეტალების დაწნეხვისას. აღნიშნული ზეთები გამოიცადა და დაინერგა რესპუბლიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქიმიური ბოჭკოს, მსუბუქი მრეწველობის და სამხედრო დანიშნულების ქარხნები.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ბატონი ნიკო ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული და ნავთობქიმიური ტექნოლოგიის კათედრას. აქტიურად იყო ჩაბმული ფაკულტეტისა და მშობლიური უმაღლესი სკოლის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბატონი ნიკოს პიროვნული თვისებები — იგი იყო უაღრესად შრომისმყვარე, განათლებული, კეთილი, ლმობიერი, ზოგჯერ მკაცრიც და შეუვალიც, სამართლიანი და უღალატო, მშვიდობიანი და ყველას მოყვარული, ქვეყნის პატრიოტი, თავდადებული, ომგამოვლილი, ცხოვრებისეული გამოცდილებით უაღრესად მდიდარი დიდ სიკეთეს, სულიერ სიწმინდეს, მეგობრობის გრძნობას, გულწრფელობას და პატიოსნებას აღვივებდა გარშემო მყოფთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის, არ აკლებდა მათ მამაშვილურ მზრუნველობას, გულისხმიერებას, ადამიანურ სიყვარულსა და სითბოს.

ყოველივე ამის გამო ეს ღირსეული პიროვნება დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ბატონი ნიკოს ხსოვნა, როგორც ამაგდარი აღმზრდელის და ღვაწლმოსილი მეცნიერისა მუდამ იარსებებს მისი აღზრდილების, კოლეგებისა და ახლობლების მეხსიერებაში. ყოფილი სტუდენტები, ამჟამად კი კოლეგები ხშირად ვიხსენებთ მის იუმორით შეზავებულ გამონათქვამებს და ცხოვრებისეულ რჩევებს.

ბატონი ნიკოს ხსოვნას ღირსეულ პატივს მიაგებენ. მისი დიდი ოჯახის წევრები: შვილი — მანანა, რომელიც დღემდე ბატონი ნიკოს მიერ დაფუძნებული მიმართულების პედაგოგია, მისი შვილები ირაკლი და ნიკოლოზი და ექვსი შვილიშვილი, ასევე შვილთაშვილები — ნიკოლოზი და მიხეილი — უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის — ვახტანგის შვილები.

ბატონო ნიკო, მდაბლად ვხრით თავს თქვენი ხსოვნის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;
ძირითად ორგანულ ნივთიერებათა და ნავთობპროდუქტების ქიმიური ტექნოლოგიის მიმართულება

◎ პონტოს ახალგაზრდობის მე-2 მსოფლიო ყრილობა

საბერძნეთ-პონტოს აღორძინების ქართული სათავეები

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი ვადიმ ანასტასიადი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სალონიკში (საბერძნეთი) პონტოს ახალგაზრდობის მე-2 მსოფლიო ყრილობის შესახებ.

რასაკვირველია, თემა „საბერძნეთ-პონტოს აღორძინების ქართული სათავეები“ — პირობითია. პონტოს მოძრაობა იკვებება მრავალი წყაროთი, რომლებიც მას ცხოველმყოფელი ძალით ავსებს. პონტოს მოძრაობის ამჟამინდელი ლიდერები თავიანთ ნაშრომებში საბერძნეთ-პონტოს მოძრაობასთან დაკავშირებით ემყარებიან თანამოაზრეთა ფართო წრეს, რომლებიც პონტოს ელინიზმის წარმომადგენელთა ყოფიერების ყველა სახელმწიფოს წარმოადგენენ, ისეთებს, როგორებიც არიან ალექსანდრა პროცენკო-პიჩაჯი — უკრაინის ბერძენთა ფედერაციის უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს ბერძნულ სათემოთა კავშირის ამჟამინდელი პრეზიდენტი ფოტი ჩიტლიდისი, პაველ ფეოდორიდი, რომელიც სათავეში უდგას ყაზახეთის ბერძენთა გაერთიანებას, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბერძნული დიასპორების ლიდერები — არკადი ხითაროვი და საიდა მესტიევა, მოლდოვის სათემოს ხელმძღვანელი ვლადიმირ იანიევი, ახალგაზრდა ვიქტორია კრავჩენკო, რომელიც სათავეში უდგას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების პერიფერიების ახალგაზრდულ მოძრაობა „საეს“ და ბევრი სხვა. მე მხოლოდ ლიდერების სახელები ჩამოვთვალე. მაგრამ მათთან ერთად ათასობით თანამოაზრე, თანამებრძოლია და ესაა ბერძნულ-პონტოური მოძრაობის ძალა.

ავტობუსი 24 მგზავრით — სალონიკში პონტოს ახალგაზრდობის II მსოფლიო ყრილობის დელეგატებით — თანდათანობით ძლევდა ძველი პონტოს ტერიტორიას. ფანჯრებს მიღმა ერთმანეთს ცვლიდნენ შავი ზღვის სუბტროპიკების მომხიბლავი სურათები — აბორგებული მცენარეულობითა და ალერსიანი სტუმართმოყვარე ზღვით. მაგრამ მეტად უცნაურია: თუ საქართველოს სანაპიროზე პლაჟები კვლავ ღებულობდნენ დამსვენებლებს, აქ, თურქეთის მხარეზე ზღვის სანაპიროები ცარიელი იყო. და საქმე სულაც არაა ის, რომ გარეთ გვიანი შემოდგომაა — სანაპიროები აქ ზაფხულშიც გაოცებს პურიტანული სიცარიელით.

დელეგატების ასაკი — 18-დან 24 წლამდეა. ჩემი თაობის ადამიანებს ამ ასაკში ოცნებაც არ შეეძლოთ ასეთ მოგზაურობაზე. ეს ქალიშვილები და ჭაბუკები კი მიემგზავრებიან ისტორიულ სამშობლოში ზოგი მესამედ, ზოგიც მეოთხედ. და მომლოცველობას პონტოს წმინდა ადგილში — პანაგია სუმელას მონასტერში, რომელიც VI საუკუნეში აღმართეს ამჟამინდელ ქალაქ ტრანპეზუნდის მახლობლად, ისინი ასრულებდნენ, როდესაც იყვნენ სრულიად ახალგაზრდები და არა 50, 60 ან 70 წლისანი, როგორც უფროსი თაობის ბევრი წარმომადგენელი. და ეს ბუნებრივია. დღევანდელ ახალგაზრდობას — სხვა პირობები და ცხოვრების ტემპები აქვთ, ვიდრე მათს მამებსა და პაპებს... იგი ხალხის მომავალია, ამ როლიდან გამომდინარე უფლებებითა და მოვალეობებით. რაც მალე გააცნობიერებს ახალგაზრდობა ამ როლს — მით უკეთესი საერთო საქმისთვის. და მას ამაში უფროსი თაობა უნდა დაეხმაროს. ასეთი პოზიცია უკავია, ასეთი პოლიტიკისკენ მოუწოდებს თავის თანამებრძოლებს ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების პერიფერიების „საეს“ კოორდინატორი ივან სავიდი, დღეისათვის ბერძნული ეროვნული მოძრაობის ყველას მიერ აღიარებული ლიდერი. ასე წარმართავს თავის მუშაობას ახალგაზრდობასთან საქართველოს ბერძნულ სათემოთა კავშირის თავმჯდომარე ფოტი ჩიტლიდისი.

მგზავრების სიაში არის გვარები, რომლებიც პირველად არ მესმის: სტომატოვები, სტავრიდები, მოისეევა, ილიჯევი, პელივანოვა... მაგრამ ისინი უკვე არიან არა ჩემი თანატოლები, ვისთან ერთადაც მიმგზავრია თვითმფრინავით ან ავტობუსებით საბერძნეთისაკენ, არამედ მათი შვილიშვილები, ძმისშვილები, ქალიშვილები და ვაჟიშვილები. გავა კიდევ რამდენიმე დღე და ბერძნული ახალგაზრდული ანსამბლის მონაწილეებთან — ნორჩ ნიჭიერ მომღერალ მარი შაველაშვილთან, მოცეკვავე ლაშა ფეოფილაქტოსთან, მოცეკვავეებთან — თამუნა გოგიშვილთან, თამუნა შარიასთან და სხვებთან ერთად დაიმსახურებენ ტაშის გრიალს სალონიკში პონტოს სიმღერისა და ცეკვის ფესტივალზე.

ერთ-ერთი ჩემი თანამგზავრია პავლიკ ილიჯევი, თბილისში საფინანსო ცენტრის მენეჯერი. მისი პაპა — კონსტანტინე იორდანეს ძე ილიჯევი, იმ წლებში პარტიის წალკის რაიკომის მდივანი, მე ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყისში გავიცანი.

იხ. 8 გვ.

◎ პონტოს ახალგაზრდობის მე-2 მსოფლიო ყრილობა

საბერძნეთ-პონტოს აღორძინების ქართული სათავეები

(მეოთხე გვერდიდან)

მაშინ სტუდენტი, რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთის პრაქტიკანტი, მივლინებით გამაგზავნეს წალკაში ანონიმურ წერილთან დაკავშირებით, ავრანლოს საშუალო სკოლიდან რომ შემოვიდა. მგზავრობა დასამახსოვრებელი და ერთობ წარმატებული აღმოჩნდა, რის შესახებაც მოვახსენე თბილისში დაბრუნების შემდეგ გაზეთის მთავარ რედაქტორს.

და კიდევ ერთი ნიუანსი. ჩემი თაობის ბერძნები, ძირითადად, რუსულენოვნები იყვნენ. ეს ახალგაზრდობა კი ერთმანეთს ელაპარაკება ქართულად, თავისუფლად ლაპარაკობენ რუსულად, ფლობენ ბერძნულ, ინგლისურ და სხვა ენებს. საუბრობენ ამ ენებზე, მღერიან ამ ენებზე. ერთი სიტყვით, სავსებით სხვაგვარი პიროვნული კონფიგურაციაა.

კვიპროსელების პონტოს ახალგაზრდული ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის ალკის ანასტასიადისის ფოტოგრაფიები მე პირველად ამ ფორუმისადმი მიძღვნილ საიტზე აღმოვაჩინე. ალკისი გადაღებული იყო ხან საბერძნეთის პრეზიდენტ პროკოპის პავლოპულოს, ხან მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ვასილიუს ტანას საზოგადოებაში. გასაგები მიზეზებით, თავდაპირველად ჩემი ყურადღება მიიპყრო კოორდინატორის გვარმა. ვინ არის ის? არა, ალკისი ჩემი ნათესავი ნამდვილად არ ყოფილა. ვერ აღმოვაჩინე გარეგნული მსგავსება მასსა და კვიპროსის პრეზიდენტ ნიკოს ანასტასიადისს შორისაც. მაგრამ რაღაც ნაცნობი მისი სახის ნაკვთებში მაინც იყო. ღმერთო ჩემო, ეს ხომ წალკის რაიონის სოფელ კიარიაკიდან ჩემი ძველი მეგობრის აბრამ ანასტასიადის შვილი იყო!

ალკისი – აბრამის ხუთი ვაჟიშვილიდან უმცროსი – კიარიაკიდან თბილისში ორი წლის ასაკში აღმოჩნდა: აბრამის ცოლი ხ შირად მოდიოდა ხოლმე საზოგადოებაში ხელში აყვანილი პატარით.

ახალგაზრდა ანასტასიადისი გაიზარდა, ჩამოყალიბდა და განათლება მიიღო კვიპროსზე. წარჩინებით დაამთავრა ფრედერიკის უნივერსიტეტი, მოგვიანებით გაიარა სტაჟირება ქალაქ პაფოსის უნივერსიტეტში ევროპის ეკონომიკური სამართლის სპეციალობით – ასევე წარჩინებით. მუშაობდა ფსიქოლოგად ეროვნული გვარდიის გენერალურ შტაბში, შემდეგ – სოციოლოგად ლარნაკი-ფამაგუსტას მეგობართა სრულიად კვიპროსის კავშირში. არჩეულია პონტოს ახალგაზრდობის მსოფლიო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარედ.

ალკისი – შესანიშნავი ორატორია. სამი დღის განმავლობაში წარმატებით და გონივრულად უძღვებოდა ახალგაზრდა ფორუმის მუშაობის მთელ მსვლელობას. აბრამი როგორღა ცხოვრობს? ჩემ შეკითხვაზე ალკისმა მიამბო, რომ მამამისი ლარნაკში აშენებს წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას. მისი ჩანაფიქრით, იგი იქნება როგორც ზუსტი ასლი ეკლესიისა მის მშობლიურ სოფელ კიარიაკში რომაა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში აიგო.

საქართველოში ბერძნული მოძრაობის ენთუზიასტებმა დიმიტრი ჩიტლოვმა და პავლე კარაგეზოვმა გამოსცეს რამდენიმე წიგნი, რომლებშიც დასაბუთებულადაა გადმოცემული ისტორია ე.წ. „წალკური“ ელინიზმის დასაწყისისა და ჩამოყალიბების, რომელიც, უეჭველია, არის პონტოს ელინიზმისა და მთლიანად ელინიზმის ძლიერი შტო. დღეს ეს შტო ტონს აძლევს პონტოს მსოფლიო მოძრაობას, არის მნიშვნელოვანი საკადრო რესურსი პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ სივრცეში... თავად ივან სავიდიც – დღეისათვის საბერძნეთის ეროვნული მოძრაობის ყველას მიერ აღიარებული ლიდერი – საქართველოდანაა, წარმოშობით წალკელი, სოფელ სანტიდან. ამ წრიდანაა კირიაკ იორდანოვიც, წალკის რაიონის სოფელ ავრანლოდან, ივან სავიდის ერთ-ერთი დამსახურებული თანამშრომელი, რომელსაც ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების პერიფერიის „საეს“ აღმასკომის თავმჯდომარის პოსტი უკავია.

კირიაკ იორდანოვი 16 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისში, ხელმძღვანელობდა ბერძნულ სათემოთა ადგილობრივ ფედერაციას. ეს იყო საქართველოს ბერძნული დიასპორის თანამედროვე ისტორიის რთული და დრამატული წლები. ოდესღაც 150-ათასიანი თემი, მიუხედავად მისი გადარჩენისათვის გაწეული ძალისხმევისა, ნელა, თუმცა აშკარად მცირდებოდა. ისტორიულ სამშობლოში ბერძნების რეპატრიაციის პროცესი გახდა შეუქცევადი როგორც ობიექტური, ისე მრავალი სუბიექტური მიზეზების გამო...

არის ასეთი აქსიომა: ხომალდზე კაპიტნის მოვალეობა უნდა იკისროს პიროვნებამ, რომელსაც აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რომელ ნაპირს უნდა მიადგნენ. და ეს გამართლებულია მგზავრების უშიშროების თვალსაზრისით. ჩვენს შემთხვევაში ხომალდი – ესაა პონტოს მოძრაობა, ნაპირი კი – მისი ერთიანობა. მგზავრებთან დაკავშირებითაც ყველაფერი ნათელია. ვინ უნდა იყოს გემის კაპიტანი? ბერძნული ეროვნული მოძრაობის ფიცარნაგზე თავისი გამოჩენის მომენტიდან რუსეთელი ბიზნესმენი ივან სავიდი გამოდის პონტიელთა ერთიანობის მხარდასაჭერად –როგორც რუსეთის ბერძენთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასოციაციის ლიდერი, და როგორც ყოფილი სსრ კავშირის პერიფერიების „საეს“ კოორდინატორი. ერთი სიტყვით, ცდილობს შექმნას თანამედროვე ბერძნულ-პონტოს მოძრაობის სადგარი, რომლის ირგვლივაც ყალიბდება მისი ყველაზე ენერგიული ძალები. არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიუანსი: ახალგაზრდობის პონტოს მე-2 მსოფლიო ყრილობის ყველა ხარჯი ივან სავიდის საქველმოქმედო ფონდმა იკისრა. აზრი იგივეა: უზრუნველყონ ერთიანობა. ყრილობის ორგანიზატორები აქედან არანაირ საიდუმლოებას არ ქმნიდნენ, გეზი უნდა მისცე მთელ მსოფლიოში ბერძენი ახალგაზრდობის გაერთიანების ვექტორს. პონტოელებს შეუძლიათ, და უნდა გააკეთონ კიდეც ეს, იკისრონ პასუხისმგებლობა საბერძნეთისა და ბერძენი ხალხის ბედისათვის მთლიანად – ამის შესახებ ყრილობაზე ითქვა მკაფიოდ და არა ორაზროვნად...

მახსენდება 10 წლის წინათ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან ბერძნული დიასპორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე რუსეთის სახელმწიფო დუმის მაშინდელი დეპუტატი ივან სავიდი რა ირონიულად გამოეხმაურა საბერძნეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს, რომლებიც იმ დღეებში მოსკოვში ჩამოვიდნენ. ზოგიერთები მისმა სიტყვებმა გააოცა. ახლა გასაგებია: კონკრეტულ გადაწყვეტილებებსა და სწრაფ მოქმედებებს შეჩვეულ რუს პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს არ მოეწონა მისი ახალი თანამოსაუბრეების არათანამიმდევრულობა და მოუქნელობა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა...

ივან სავიდის გამოსვლა ახალგაზრდა პონტოელთა ფორუმზე იყო მკაცრი. ამ სიმკაცრეს თავისი მიზეზები ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მიზეზები შეიძლება გამხდარიყო სავიდის არაერთგზისი მცდელობა – საბერძნეთი ხელისუფლებისათვის შეეთავაზებინა გამოსავალი სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. და, კვლავ სამწუხაროდ, ამ მცდელობათა უშედეგობა. როდემდე შეიძლება?

საბერძნეთის მაღალი ჩინოვნიკების მრავალი სამარცხვინო ხრიკი საბერძნეთის პარლამენტის სამარცხვინო საკანონმდებლო აქტის გაწვევის შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან რეპატრიანტებისათვის მოხუცებულობის ფულადი დახმარების შეწყვეტასთან დაკავშირებით? წინა პრემიერ-მინისტრ ანტონის სამარასთან ამ თემას ივან სავიდი ოთხჯერ განიხილავდა და ოთხჯერ მიიღო მყარი დაიმედება, რომ ყველაზე უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყვეტენ ამ საკითხს. სამწუხაროდ, დაპირების იქით საქმე არ წასულა. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის მთავრობის ამჟამინდელ ხელმძღვანელს ალექსის ციპრასს, რომელიც ლომივით ებრძვის კრედიტორებს მაღალი პენსიების შენარჩუნებისათვის თავისი თანამემამულეების ერთი ნაწილისათვის, სიტყვაც არ დასცდენია ღარიბულ მდგომარეობაზე მისი მეორე ნაწილისა – ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წამოსულებზე, რომლებიც საერთოდ სახელმწიფოსგან რაიმე დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ. და განა წმინდა წყლის შარლატანობა არაა, რომ – პარლამენტმა არჩევნების წინ მიიღო კანონი ბერძენი რეპატრიანტებისთვის პენსიების აღდგენის შესახებ, არჩევნების შემდეგ კი ის მალევე გააუქმა?! ბუნებრივია, რომ ამ ფონზე სავიდის პოზიცია უნაკლოდ გამოიყურება, მისი ამჟამინდელი რეპუტაცია კი, როგორც ყოფილი სსრ კავშირიდან ბერძენი რეპატრიანტების თანამიმდევრული დამცველისა, სავსებით დამსახურებულად.

ფორუმზე საქართველოს ბერძენი ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელმა ევგენი კოტანიდიმ ასეთი რამ განაცხადა: „პონტოელები არიან ბერძენი ერის უნიკალური ნაწილი თავისი განუმეორებელი ისტორიით, კულტურით, განუმეორებელი დიალექტით. იყო პონტოელი – ეს ნიშნავს იყო იმ ხალხის წარმომადგენელი, რომელმაც გადაიტანა გენოციდის წლები – დრამატული ისტორია, სისხლის და ცრემლების ზღვა... და, მაშასადამე, იყო პონტოელი – ეს ნიშნავს შეიგრძნობდე საკუთარ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას შენი ხალხის წარსული და მომავალი თაობებისადმი“. შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვებში გამოხატულია სალონიკში პონტოელი ახალგაზრდობის ფორუმის მთავარი თემა, რომლის დამთავრებაც მის მონაწილეთა საერთო აზრით, უნდა გახდეს პონტოს მსოფლიოს დამფუძნებელი ყრილობისათვის აქტიური მზადების დასაწყისი.

რასაკვირველია, თემა „საბერძნეთ-პონტოს აღორძინების ქართული სათავეები“ – პირობითია. პონტოს მოძრაობას ასაზრდოებს უამრავი წყარო, რომლებიც აძლიერებენ მას ცხოველმყოფელი ძალით. პონტოს მოძრაობის ბერძნულ-პონტური აღორძინების შესახებ ნაშრომში პონტოს მოძრაობის ამჟამინდელი ლიდერები ეყრდნობიან თანამოაზრეთა ფართო წრეს, რომელიც პონტოური ელინიზმის წარმომადგენელთა დასახლების ყველა ქვეყანას წარმოადგენენ, ისეთებისა, როგორებიცაა ალექსანდრე პროცენკო-პიჩაჯი, უკრაინის ბერძენთა ფედერაციის უცვლელი თავმჯდომარე ვიქტორია კრავჩენკო, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების „საეს“ ახალგაზრდულ მოძრაობას უდგას სათავეში და ბევრი სხვა. მე ვისაუბრე ერთ-ერთზე ამ წყაროებიდან – ქართულზე.

ვადიმ ანასტასიადი

დედამიწის ზურგზე

ობამამ თავის პირველ მიმართვაში „ფეისბუქში“ მოუწოდა – შეინარჩუნონ პლანეტა შთამომავლობისათვის

ამერიკის პრეზიდენტმა „ფეისბუქის“ სოციალურ ქსელში გახსნა ფურცელი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად წაიყვანს. ობამას სიტყვებით, ასეთი პლატფორმა დაეხმარება ამერიკელებს პირდაპირ განიხილონ მასთან ერთად ქვეყნის მთავარი პრობლემები. თავისი პირველი ცნობა სახელმწიფოს მეთაურმა გარემობუნების დაცვას მიუძღვნა.

* * *

ჩინელმა თავის შეძვარებულს გაუკეთა პიკანტური წინადადება ათოთხით ათასი წიწაკის ხალიჩაზე

ჩინური პროვინციის სიჩუანის მცხოვრებმა იცოდა, რომ მის მეორე ნახევარს უყვარს ეს მწველი სანელებელი. ხელისა და გულის შეთავაზებისათვის თავისი შეყვარებულისთვის ახალგაზრდა კაცმა გამოიყენა 99 999 წიწაკის ნაჭერი, ვინაიდან ციფრი ცხრიანი ჩინურად გაისმის, როგორც სიტყვა „ყოველთვის“.

* * *

რუსეთმა და ეგვიპტემ არ უპასუხეს გამოკვლევის ფედერალური ბიუროს წინადადებას დაეხმარონ A323 თვითმფრინავის ავარიის გამოკვლევასთან დაკავშირებით

გამოკვლევის ფედარალური ბიუროს თავმჯდომარის ჯოშუა კემპბელის სიტყვებით, ბიურომ შესთავაზა თავის რუს და ეგვიპტელ პარტნიორებს კრიმინალური დახმარება, მაგრამ ამ მომენტისათვის ამერიკის შეერთებულ შტა-

ტებში პასუხი არ მიუღიათ. სწორედ ამერიკულმა დაზვერვამ ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა ბომბის შესაძლო აფეთქების შესახებ რუსული ლაინერის ბორტზე.

* * *

ჯეგ ბუშმა განაცხადა, რომ მოკლავდა პატარა ჰიტლერს, რომ შეძლებოდა წარსულში დაბრუნებულიყო წარსულში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან ჯეგ ბუშმა განაცხადა: მას რომ ჰქონებოდა შესაძლებლობა, დაბრუნებულიყო წარსულში, იგი მოკლავდა ადოლფ ჰიტლერს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ბავშვი იქნებოდა. „ეშმაკმა დალახვროს, მე ამას გავაკეთებდი“, – წამოიყვირა ბუშმა და დაუმატა, რომ საჭიროა ყოველთვის საკუთარ ხელში აიღო ინიციატივა.

* * *

ძალოვნებმა აღადგინეს წესრიგი მიგრანტების ბანაკში შობის კუნძულზე, რისთვისაც გამოიძენეს გაზი და რეზინის ტყვიები

ავსტრალიის მიგრაციის საქმეთა მინისტრი პიტერ დატონი ამტკიცებს, რომ ბუნტი მოაწყვეს „ძირძველმა დამნაშავეებმა“, რომლებმაც ისარგებლეს ერთ-ერთი პატიმრის დაღუპვით. ბანაკში დარბევის ზარალი შეფასებულია 10 მილიონ დოლარად. უწესრიგობის ხუთ მონაწილეს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

განცხადება

2016 წლის 5 იანვარს, 11:00 საათზე, ქ. ფოთის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ.№12) და 5 იანვარს 14:00 სთ-ზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა №189) გაიმართება ქალაქ ფოთის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებში ქ. ფოთის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომლის ოპერირება უზრუნველყოფს ქ. ფოთში წარმოქმნილი საკანალიზაციო წყლების ნორმატიულ დონემდე გაწმენდას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. ფოთის მერია – ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა – ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189;
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ცენტრალური ოფისი – ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 76ბ.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ქეთევან ჩომახიძე. ტელ: (+995 577) 38 03 09; (+995 32) 2919060; E-mail: chomakhidzek@yahoo.com;
- ჯუღული ახვლედიანი. ტელ: (+995 595) 59 52 55; (+995 32) 2601527; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge:

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2016 წლის 4 იანვარს, 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დ. მესტია, სეტის მოედანი №1) გაიმართება მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. დოლრაზე „დოლრა 3 ჰესის“ (დადგმული სიმძლავრით 36 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის ბეჩოს თემის ტერიტორიაზე, მდ. დოლრაზე დერივაციული ტიპის არარეგულირებადი ჰესის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - დ. მესტია, სეტის მოედანი №1,;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ლუკა ლებანიძე. ტელ: 599473049; E-mail: info@dolraenergy.com;
- გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „დოლრა ენერჯი“-ს ადმინისტრაცია

◎ სურსათი

მსოფლიო ბაზარზე სიიაფეა, ჩვენთან კი...

ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩვენში სოფლის მეურნეობის უკლებლივ ყველა პროდუქტი რომ გაძვირდა, ყველამ ვიცით, მაგრამ ბევრმა, შესაძლოა, არ იცოდეს, რომ იმავე ერთი წლის მანძილზე მსოფლიო ბაზარზე სურსათი, საშუალოდ, 20 პროცენტზე მეტად... გაიაფდა.

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში სურსათის დეფიციტის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ამ გაიაფების მიზეზებად, მთელ რიგ სხვა ფაქტორთან ერთად, ექსპერტები, უწინარესად, ნავთობზე ფასის ვარდნასა და უზარმაზარი ჩინური ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას ასახელებენ. ამავდროულად, იმასაც აღნიშნავენ, რომ ხორბლისა და სიმინდის ყველაზე დიდ მწარმოებელ ქვეყანაში (ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში) მათი დიდი მარაგია დაგროვილი. მაგალითად, ამჟამად ტონა **ხორბალი**, სამი წლის წინანდელ ფასთან შედარებით, დაახლოებით სამჯერ ნაკლები ღირს. ასევე ორჯერ და მეტადაა გაიაფებული **სიმინდიც**.

საერთაშორისო ბაზრებზე ბოლო დღეებია იაფდება ისეთი მნიშვნელოვანი სურსათიც, როგორებიცაა **შაქარი, რძის პროდუქტები და მზესუმზირის ზეთი.** ჩვენში კი საგრძნობლად (20 პროცენტზე მეტად) ერთიც გაძვირებულია, მეორეც და მესამეც.

განსაკუთრებით საგულისხმოა სხვადასხვა სახეობის **ხორცისა** და **ხორცპროდუქტების** ფასები. შარშანდელთან შედარებით, მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და ღორის ხორცის ფასი თითქმის 45 პროცენტითაა დაკლებული, შიდა ბაზარზე ის, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა. რაც შეეხება ფრინველის, უმთავრესად **ქათმის ხორცს,** ამ სეგმენტში სამამულო მწარმოებელთა შორის გაზრდილი კონკურენციაა და, ამ ფონზე, იმპორტის მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში, მის ფასს არ მოუმატია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, ნოემბრის დამდეგისთვის **ინფლაციამ, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 5,2 პროცენტი შეადგინა, სურსათზე ფასების წლიურმა ზრდამ 4,2 პროცენტი, სამედიცინო მომსახურება კი თითქმის 10 პროცენტით გაძვირდა.**

მოკლედ, მსოფლიო ბაზარზე სურსათზე ფასების კლების პირობებში ქვეყნის შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაძვირება, როგორც ჩანს, მაინც იმპორტიორთა საფასო პოლიტიკის შედეგია. ამით, ცხადია, უწინარესად, მომხმარებელი ზარალდება, მაგრამ, ამავე დროს, ზიანი ადგილობრივ მწარმოებლებსაც ადგება, რადგან მოსახლეობის უმრავლესობის ისედაც არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობას შემოსავალთან სურსათის შეუსაბამოდ მაღალი ფასები კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. ამის შედეგად კი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპი ფერხდება, რომელიც მრავალი სხვა შიდა თუ საგარეო ფაქტორის გამო ისედაც საკმაოდ დაბალია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ამ ერთგვარად მონუსხული წრის გარღვევაა საჭირო, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა გარკვეული რეგულაციების შემოტანით, აუცილებლად მთავრობამ უნდა თქვას, მით უმეტეს, რომ მსგავსი მოქმედებების საკმაოდ მდიდარი მსოფლიო პრაქტიკა არსებობს.

ოთარ ტურაბელიძე

საქმე №1/95-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

4 ნოემბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: თამაზ მარგოშვილი, ავთანდილ ახვლედიანი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 10 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე თამაზ მარგოშვილისა და ავთანდილ ახვლედიანის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 4 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და თამაზ მარგოშვილს შორის დაიდო №091412455 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 1 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: რენო ლაგუნა 1.8; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2003; ტიპი: ჰეტჩბეკი; ფერი: რუხი 2/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №VF1BG0F0628938740; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL2688509; სარეგისტრაციო ნომერი: QRR534.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხის ავთანდილ ახვლედიანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თამაზ მარგოშვილს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თამაზ მარგოშვილს მის წინააღმდეგ მიმართული საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თამაზ მარგოშვილი მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. მოპასუხე თამაზ მარგოშვილს (პირადი №08001011848) ეცნობოს, რომ 2015 წლის 1 დეკემბერს 10:00 საათზე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით თამაზ მარგოშვილისა და ავთანდილ ახვლედიანის მიმართ.
2. თამაზ მარგოშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
3. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
5. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ დიდი რაგბის პერსპექტივა

გიორგი ნიჟარაძის ოთხწლიანი ხედვა

საძმართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ, რომელიც ინგლისში ხანგრძლივი ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, პრესკონფერენცია გამართა და განვლილ მსოფლიო თასთან ერთად მომავლის გეგმებზეც ისაუბრა.

ცნობილი გახდა, რომ ნიჟარაძე კენჭს იყრის საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებზე, რომელიც გაისად გაიმართება. მისი თქმით:

„ამ 4 წლის განმავლობაში იმდენი რამაა გასაკეთებელი, რომ ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება ქართულ რაგბის კიდევ გამოადგება და გადავწყვიტე, პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მივიღო“.

ამრიგად, მისი ხედვა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, მანამდე კი, პრესკონფერენციაზე, ნიჟარაძემ უწინარესად განვლილ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების თამაში შეაფასა.

„მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების გამოსვლა ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შეფასდეს. წინდაწინ დასახული ამოცანა შესრულდა და ჯგუფში ორი თამაშის მოგებით უკვე მოვიპოვეთ 2019 წლის მსოფლიო თასის საგზური. ტონგასთან მატჩისთვის წელიწადნახევრის განმავლობაში ვემზადებოდით და ბრწყინვალე, პრაგმატული თამაშით სასურველ შედეგს მივაღწიეთ. გუნდმა ითამაშა ძალიან კარგი დაცვა და შესრულდა 200-ზე მეტი ბოჭვა, შეტევაში კი, ეფექტურად გამოვიყენეთ ყველა შესაძლებლობა.

არგენტინასთან ძალიან კარგი პირველი ტაიმი ჩავატარეთ, მაგრამ მამუკა გორგოძის გაძევებამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ამ პერიოდში მივიღეთ 21 ქულა და მეტოქემ ბრწყინვალე სტილში იმარჯვა. ამ გუნდმა მერეც საუცხოო თამაშები ჩაატარა. ჩემი აზრით, ბიჭები მეტოქისგან სულ სხვა სტილის თამაშს ელოდნენ და მოულოდნელობამაც იჩინა თავი.

ზელანდიელებთან მატჩი ჩვენს აქტივშია და ეს არა მხოლოდ ჩემი, მთელი სარაგბო სამყაროს აზრია. ღირსეული თამაში ვაჩვენეთ და მსოფლიოს ჩემპიონმა მთელი 34 წუთის განმავლობაში ქულის აღება ვერ მოახერხა. ბოლოს იყო თამაში ნამიბიასთან და რადგან მოვიგეთ, ისიც მაინც ჩვენს აქტივშია. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებს სუსტ მეტოქეებთან უფრო უჭირს კონცენტრაცია, ვიდრე ძლიერებთან. ვფიქრობ, მსაჯობის მიუხედავად, მეტოქე 20-30 ქულის სხვაობით მაინც უნდა დაგვმარცხებინა, მაგრამ მთავარია, რომ მაინც მოვიგეთ“, — თქვა ნიჟარაძემ.

მეორე საკითხი, რაზეც სრკ-ს პრეზიდენტმა ისაუბრა, იმ დივიდენდებს შეეხებოდა, რაც ქართულმა რაგბიმ ამ მსოფლიო თასის შემდეგ მიიღო:

„იაპონიის მსოფლიო თასზე გასვლით მინიმუმ ერთი საფეხურით ავმაღლდით. მსოფლიო რაგბისგან და გულშემატკივრებისგან მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი პატივისცემა დავიმსახურეთ. ახლა წინ გვაქვს 4 წელიწადი, რომელიც უნდა მოვახმაროთ იმ გუნდის მშენებლობას, რომლითაც იაპონიაში კიდევ უფრო მეტს უნდა მივაღწიოთ, მაგრამ ეს იქნება ურთულესი და უმძიმესი 4 წელიწადი. კენჭისყრის წინ კალათები რომ შედგება, ჩვენს ქვევით იქნებიან ისეთი გუნდები, როგორებიც სამოა, ფიჯი და ტონგა არიან და სუსტ მეტოქესთან აღარ მოგვიწევს შეხვედრა. ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავივიწყოთ ეს ეიფორია და შევიმუშაოთ პროგრამა, რომლითაც 2019 წელს მეტ წარმატებას მივაღწევთ. ამისათვის დაგვჭირდება სახელმწიფოს, კერძო სექტორის და გულშემატკივრების მხარდაჭერა.

ამ მსოფლიო თასის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა მაღალ დონეზე მეტი თამაშის აუცილებლობა. 4 წელიწადში ერთხელ მეძლევა შესაძლებლობა, რომ ვიმუშაო იმ ადამიანებთან, რომლებიც რაგბიში გადაწყვეტილების მიმღები არიან და ინგლისში ყოფნის მთელი პერიოდი, 1 თვე და 20 დღე ამ საქმეს მოვახმარე. შეხვედრების შედეგებით კმაყოფილი ვარ. წელს მესამედ ვიყავი მსოფლიო თასზე და აქამდე ცვლილებების აუცილებლობაზე ამდენი საუბარი არასდროს ყოფილა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ არგენტინა და იაპონია დაემატებიან ზე-15-ს, ნამიბია სამხრეთ აფრიკაში, „ქარი ქაფში“ ჩაერთვება, იქმნება ამერიკის ექვსი ერი, სადაც არგენტინის ნაკრებთან ერთად ამერიკის, კანადის, ურუგვაის და ბრაზილიის ნაკრებები ითამაშებენ. დავრჩით ჩვენ და რუმინეთი, რომლებსაც გეოგრაფიული პრინციპით ევროპის ექვსი ერი გვერგება. მის გაფართოებაზე ამდენი საუბარი არასდროს ყოფილა, მაგრამ ესაა კომერციული ტურნირი, აქ „მსოფლიო რაგბი“ ვერაფერს წყვეტს, ორგანიზატორებს კი აწყობილი და კარგად მომუშავე სქემის შეცვლა არ სურთ.

რადგან ექვსი ერიდან გავარდნა იტალიურ და შოტლანდიურ რაგბის დაანგრევს, ჩვენ ვეუბნებით, რომ არ გვინდა გავარდნა და ასვლა და ვთავაზობთ ტურნირის გაფართოებას. 4 წელიწადი ვერაფერი შეიცვლება, რადგან კონტრაქტები უკვე გაფორმებულია, აი იაპონიის მსოფლიო თასის შემდეგ კი იქ თამაშის საშუალება ჩვენ და რუმინეთს უნდა გვქონდეს. ამისათვის დღეიდანვე უნდა გაიხსნას დისკუსია. ამ საკითხთან მიმართებაში რაგბი ევროპა მათთან პირდაპირ კონფლიქტში შევიდა. ჩვენ ვითხოვთ გვითხრან, თუ რა გვჭირდება, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ექვს ერს დავემატოთ და ვითხოვთ პასუხებს. ამ საკითხებს მერე კერძო სექტორთან და სახელმწიფოსთან გავივლით და თუ ყველაფრის მოგვარებას შევძლებთ, უარი აღარ უნდა გვითხრან.

გაფართოებასთან დაკავშირებით არის პრობლემები. ეს გამოიწვევს კალენდრის 4 კვირით გაზრდას და კლუბებთან ურთიერთობების გაფუჭებას. არის ალტერნატიული ვარიანტი, რომ გაკეთდეს ორი 4-გუნდა და ჯგუფი და ამის შემდეგ გაიმართოს პლეი ოფები. ამ შემთხვევაში ტურნირი არსებულ ვადებში ჩაეტევა, მაგრამ გაფართოების წინააღმდეგი ინგლისი, შოტლანდია და იტალია არიან. მაისში მსოფლიო რაგბის პრეზიდენტის არჩევნებია, სადაც კენჭს იყრის ინგლისის რაგბის კავშირის მმართველი ბილ ბომონდი, რომელიც პარალელურად ექვსი ერის პრეზიდენტიცაა და თუ ის აირჩიეს, მაშინ მან რაგბის მსოფლიო მასშტაბით განვითარებაზე უნდა იზრუნოს და აღარ იქნება ექვსი ერის პრეზიდენტი. გარდა ამისა, შეიქმნება ახალი საბჭო და იქ უკვე საქართველოც იქნება წარმოდგენილი“.

ნიჟარაძისგან ცნობილი გახდა, რომ, სამწუხაროდ, ექვსი ერის წარმომადგენლებმა უარი თქვეს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაზე, სადაც ბოლო დროს ქართველი ახალგაზრდები წარმატებით თამაშობენ და წლევანდელ ტურნირში ფინალშიც ითამაშეს, მაგრამ ახლა იქ მხოლოდ საფრანგეთი დარჩა და ტურნირი მნიშვნელოვნად შეიცვლება. სამაგიეროდ, საუბრებია 20-წლამდელთა კიდევ ერთი ძლიერი ტურნირის შექმნაზე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 2016 წელს 20-წლამდელთა მსოფლიო თასზე ინგლისში ითამაშებს, ხოლო 2017 წელს პლანეტის 12 უძლიერესი გუნდი (20-წლამდელების) უკვე საქართველოში შეიკრიბება.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებმა პირდაპირ მოიპოვა 2019 წლის მსოფლიო თასზე თამაშის უფლება, მისთვის ევროპის ერთა თასმა პრაქტიკული აზრი დაკარგა, მაგრამ ჯერჯერობით „ბორჯღალოსნები“ მაინც იქ ითამაშებენ, თუმცა, მნიშვნელოვნად გადახალისებული, ექსპერიმენტული შემადგენლობით:

„ჯერჯერობით ვრჩებით ერთა თასზე, მაგრამ არ მივიღებთ მონაწილეობას მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში. როგორ მოხდება ეს, გააუქმებენ თუ არა ჩვენთან თამაშის ქულებს, ჯერ უცნობია. ევროპას ამით მომავალ მსოფლიო თასზე დამატებითი ადგილი უნდა მიეღო, თუმცა, მსოფლიო რაგბიმ ამაზე უარი თქვა და კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნა. ახლა ცნობილია, რომ მსოფლიო თასზე გავა ერთა თასის გამარჯვებული და მეორეადგილოსანი ითამაშებს რეპეშაჟში. ეს ყველაფერი იმის გამო შეიცვალა, რომ კუნძულელებიდან ვინმე გარეთ არ დარჩეს და წყნარი ოკეანის თასის პირველ-მეორეადგილოსნები 2019 წლის იაპონიის საგზურს მიიღებენ, ხოლო დანარჩენები რეგიონალურ შესარჩევებში იბრძოლებენ“, — ამბობს ნიჟარაძე და საქართველოს ნაკრებისთვის თამაშების ვარიანტებზე გვიყვება:

„ორი წელი დანამდვილებით ვიცით, რომ ერთა თასზე ვითამაშებთ და მერე არ ვიცით რა იქნება. გვინდა, რომ ივნისის თბილისის თასის ნაცვლად სამხრეთში სამი ტესტი ჩავატაროთ და კიდევ სამი ტესტ-მატჩი ნოემბერში. ჩვენი მოთხოვნაა, რომ რაც შეიძლება მეტი ვეთამაშოთ სამხრეთელ ნაკრებებს (სამოა, ფიჯი, ტონგა, იაპონია) და წელიწადში ერთხელ მაინც შევხვდეთ პირველი დონის ნაკრებს. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ „მაორებთან“ და თუ სპონსორი ვიშოვეთ, მათ თბილისში ჩამოვიყვანთ. მოგეხსენებათ, ახალ ზელანდიასთან თამაში სუფთად კომერციის საკითხია და ის 2 მილიონი ჯდება, „მაორების“ ჩამოყვანა კი შედარებით იაფი დაგვიჯდება და ძალიან კარგი გუნდია. გვქონდა მოლაპარაკება არგენტინასთან, მაგრამ ისინი თამაშზე რუმინეთს შეუთანხმდნენ“.

ზემოთაც ვთქვით, რომ 2017 წელს 20-წლამდელთა მსოფლიო თასს თბილისი უმასპინძლებს და ნიჟარაძემ ამ საკითხზე დაწვრილებით ისაუბრა:

„უახლოეს 4 წელიწადში ჩვენი პრიორიტეტი უნდა გახდეს 18-წლამდელთა და 20-წლამდელთა ნაკრებები, რადგან იაპონიაში ამ ბიჭებიდან ბევრი ითამაშებს. ბევრი პრობლემა მარტივად მოგვარდება, თუ მსოფლიოს ვანახებთ, რა დონეზე შეგვიძლია 20-წლამდელთა მსოფლიო თასის მასპინძლობა და ამისათვის ყველამ მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. აუცილებელია, უკვე დაიწყოს მოედნების მშენებლობა, რადგან ბალახის გამაგრებას დაახლოებით 1 წელი სჭირდება. სახელმწიფოს დახმარებით, ჩვენი და ფეხბურთის ფედერაციის შეთანხმებით, ჯამში 30 სავარჯიშო მოედანი მოეწყობა, რომელთაგან 15 ჩვენ, 15 კი ფეხბურთის ფედერაციას დარჩება. ვფიქრობ, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან მაქსიმალურად მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ, რადგან ორივეს გვჭირდება მოედნები.

ახალგაზრდულ ნაკრებებში აუცილებლად ქართველი მწვრთნელები იმუშავებენ. დეკემბერში ახალ ზელანდიაში, ძლიერ კლუბში სტაჟირებას გაივლის 5 ქართველი მწვრთნელი. აუცილებელია, რომ დავეხმაროთ კლუბებსაც მწვრთნელების გადამზადებაში, რადგან განათლება უნდა გახდეს ჩვენთვის პრიორიტეტი. ეროვნული ჩემპიონატი ამ ყველაფრის საფუძველია და სხვა მხრივაც უნდა დავეხმაროთ კლუბებს. 400 ათასს ახლა იმდენი არ შეუძლია, რომ კლუბმა შეინახოს პირველი, ესპუარების და ახალგაზრდული გუნდები და მათი ფინანსური მხარდაჭერა აუცილებლად გასაზრდელია. კლუბებს მთავრობა და კერძო სექტორი უნდა დაეხმაროს. მნიშვნელოვანია ქართული კლუბების ევროტურნირებში ჩართვა. ამისათვის სახელმწიფო პროგრამაში უნდა ჩაიდოს თანხა და ის მიიღოს ჩემპიონმა გუნდმა ევროთასებზე თამაშისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ ნაკრებში ბევრი მორაგბე მოხვდეს ჩვენი ჩემპიონატიდან“.

სრკ-ს პრეზიდენტისგან ცნობილი გახდა, რომ „ქართუს“ დახმარებით მიმდინარეობს სტადიონების მშენებლობა ნუცუბიძეზე, დიღომში „ლოკომოტივის“ ბაზაზე, თელავში, ბათუმში, გორში, მაგრამ ჯერჯერობით არანაირი სიახლე არაა დიღომში რაგბის 25-30-ათასიანი სტადიონის მშენებლობაზე. ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად მილტონ ჰეიგის დარჩენა-არდარჩენის საკითხი სრკ-ს პრეზიდენტის და ახალი გამგეობის არჩევის შემდეგ გახდება ცნობილი. პრესკონფერენციის ბოლოს ნიჟარაძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს წარმატება შექმნა — ბიძინა გეგიძეს, მერაბ ანთაძეს და ყველა იმ მოთამაშეს, რომელმაც საერთო საქმეში თავისი წილი აგური დადო. ასევე მან აღნიშნა გულშემატკივრების არნახული თანადგომა მსოფლიო თასის მსვლელობის დროს და ხაზი გაუსვა მამუკა გორგოძის და დავით ზირაქაშვილის წვლილს მიღწეულ წარმატებაში. ასევე სახელმწიფოს, რომელმაც რაგბის განვითარების პროგრამა 2009 წელს დაიწყო და 2012 წელს თანხა გაზარდა და ბიძინა ივანიშვილს, რომლის დაფინანსებითაც საქართველოში ახალი სტადიონები აშენდა და კიდევ შენდება.

კოგა კობახიძე

◎ ფარიკაობა

105 მუშკეტერის მონაწილეობით



ზესტაფონმა მოფარიკავეთა საქართველოს ღია თასის გათამაშებას უმასპინძლა. შეჯიბრებაში თბილისის, რუსთავის, ზესტაფონის, ქუთაისის, ოზურგეთის, აჭარის, აფხაზეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და როსტოვის 105 მუშკეტერი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. ქართველ მოხმალავე ვაჟთათვის ეს ტურნირი, ფაქტობრივად, ძალთა კიდევ ერთი შემოწმება იყო ამერიკის გრან პრის წინ, რომელიც 12-13 დეკემბერს ბოსტონში გაიმართება. ის ასპარეზობა კი სოლიდურ სარეიტინგო ქულებს იძლევა. ჩვენებურთაგან ინდივიდუალურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აქვს ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონ სანდრო ბაზაძეს. იგი ამჟამად რიოს ოლიმპიადაზე წამსვლელთა კლასიფიკაციით პირველ ოცეულში შედის და 16 საუკეთესოში მოსახვედრად ორიოდე ნაბიჯი აკლია. სანდრომ ზესტაფონშიც იყოჩაღა, ფინალში თანაგუნდელ მიხეილ მარდალეიშვილს აჯობა 15:13 და პირველი ადგილი დაიკავა.

კვარცხლბეკი

ხმალი

ვაჟები. 1. სანდრო ბაზაძე, 2. მიხეილ მარდალეიშვილი, 3. ვაჟა რეჭია (სამივე - ქუთაისი), ნიკა შენგელია (თბილისი). **ქალები.** 1. ლიკა ჯიჯიეიშვილი, 2. ანა აფრასიძე, 3. ელენე ნანობაშვილი (სამივე — თბილისი), თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი).

რაპირა

ვაჟები. ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. არჩილ უგულავა (აჭარა), 3. გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი), ლაშა გალუაშვილი (თბილისი). **ქალები.** 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. აპრინე ატოიანი (სომხეთი), ნანუკა ლეჟავა (თბილისი).

დაშნა

ვაჟები. 1. არკადი მურადიანი (სომხეთი), 2. მიქაელ მიქაელიანი, 3. დავით ელბაქიძე (ორივე — თბილისი), ედუარდ ოვიკიანი (სომხეთი). **ქალები.** 1. მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი), 2. ემა პოღოსოვა (სომხეთი), 3. ანა ბიბიჩაძე, ქრისტინე მიქაძე (ორივე — ქუთაისი).

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: სანდრო ბაზაძე; მარცხნიდან — ლაშა გალუაშვილი, თეონა გოგლიძე, მარიამ ცუხიშვილი, ლუკა და ირაკლი ღაღანიძეები.
ვაჟა დანელიას ფოტოები.

◎ კალათბურთი

კვირის მოთამაშეებად დრამონდი და ჰარდენი აღიარეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის, შესაბამისად, აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციების საუკეთესო მოთამაშეებად „დეტროიტ პისტონზის“ ცენტრი ანდრე დრამონდი და „ჰიუსტონ როკეტსის“ მცველი ჯეიმს ჰარდენი დაასახელეს.

დრამონდი 2011-12 წლების სეზონიდან მოყოლებული (ლებრონ ჯეიმსის შემდეგ) ლიგაში პირველი მოთამაშე გახდა, რომელიც სეზონის სტარტზე ზედიზედ 2 კვირის საუკეთესო კალათბურთელი შეიქნა. გასულ კვირაში დეტროიტელთა ლიდერის საშუალო მონაგარი 22 ქულა და 24 მოხსნა იყო.

რაც შეეხება ჰარდენს, მისი დახმარებით ჰიუსტონელებმა კვირის ოთხივე მატჩი მოიგეს, ჯეიმსის საშუალო მაჩვენებლები კი ასეთია: 38 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა.

კვირის საუკეთესო მოთამაშეობაზე პრეტენზიას პოლ მილსეპი („ატლანტა“), ლებრონ ჯეიმსი („კლივლენდი“), რეჯი ჯეკსონი („დეტროიტი“), სტეფ კარი („გოლდენ სტეიტი“), პოლ ჯორჯი („ინდიანა“), ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი“), ევან ფურნიე („ორლანდო“), ჯალილ ოკაფორი („ფილადელფია“) და დემიან ლილარდიც („პორტლენდი“) აცხადებდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

კარლი ლლოიდი ქართველი გოგონების რჩეულია

ფიფა-მ 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალისა და ქალთა გუნდის მწვრთნელის გამოსავლენად ნომინანტები დაასახელა. საუკეთესოს ტიტულის მოსაპოვებლად საუკეთესო ათეულები ფიფას ქალთა ფეხბურთის კომიტეტის, ფიფას მსოფლიო თასის და პოპულარული გამოცემის „ფრანს ფუტბოლის“ წარმომადგენლებმა შეარჩიეს.

გამოკითხვაში ხმის მიცემა ფიფას წევრი ქვეყნების ქალთა ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებსა და კაპიტნებს აქვთ. შემოთავაზებულ კანდიდატებს 5, 3 და 1 ქულით აფასებენ და შესაბამისად I, II და III ადგილებს აკუთვნებენ.

გამოკითხვაში ტრადიციულად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც მონაწილეობს. წელს მსოფლიოს საუკეთესო ქალი ფეხბურთელი და ქალთა გუნდის მწვრთნელი საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ კოსტავამ და ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ტატა მატვეევამ დაასახელეს.

2015 წლის სეზონის მსოფლიოს საუკეთესო ქალი ფეხბურთელი 2016 წლის 11 იანვარს დასახელდება. მანამდე კი ქართველი ქალი ფეხბურთელების რჩეული არაოფიციალურ გამოკითხვაში ამერიკელი კარლი ლლოიდია.

იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკელმა ქალთა შორის 2015 წლის კანადის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს დაამახსოვრა თავი ფეხბურთის ქომაგებს, სავარაუდოდ, ჩვენი გოგონების აზრი მსოფლიოს სპეციალისტების მოსაზრებასაც დაემთხვევა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ქალთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა ფინალში იაპონელთა წინააღმდეგ 16 წუთში ჰეთ-თრიქი შეასრულა, შეხვედრა კი ამერიკელებმა 5:2 მოიგეს.

ქალთა გუნდის საუკეთესო მწვრთნელი:

თამაზ კოსტავა: 1. თომას ვიორლე (გერმანია, „ბაიერნი“), 2. ჯილ ელისი (აშშ ქალთა ეროვნული ნაკრები), 3. ჯონ ჰერდმანი (კანადის ქალთა ეროვნული ნაკრები).

ტატა მატვეევა: 1. ჯილ ელისი (აშშ ქალთა ეროვნული ნაკრები); 2. თომას ვიორლე (გერმანია, „ბაიერნი“), 3. სასაკი ნორიო (იაპონიის ქალთა ეროვნული ნაკრები).

საუკეთესო ქალი ფეხბურთელი:

თამაზ კოსტავა: 1. რამონა ბაჩმანი (შვეიცარია), 2. კარლი ლლოიდი (აშშ), 3. ნადინ ანგერერი (გერმანია).

ტატა მატვეევა: 1. კარლი ლლოიდი (აშშ), 2. ჰოპ სოლო (აშშ), 3. ნადინ ანგერერი (გერმანია).

აღნიშნული კანდიდატების გარდა ნომინანტებს შორის დასახელებულები არიან:

ქალთა გუნდის საუკეთესო მწვრთნელი: კ. ბარლინგი (შვედეთი, U19), კ. ბელი (ინგლისი, „ფრანკფურტი“), ფ. ბენსტიტი (საფრანგეთი, პსჟ), ჯილ ელისი (აშშ, ეროვნული ნაკრები), ლ. ჰარვეი (ინგლისი, „სიეტლ რეინი“), ჯ. ჰერდმანი (ინგლისი, კანადის ეროვნული ნაკრები), ჟ. პრეშე (საფრანგეთი, „ლიონი“), მ. სამპსონი (უელსი, ინგლისის ეროვნული ნაკრები), ნ. სასაკი (იაპონიის ეროვნული ნაკრები), ტ. ვიორლე (გერმანია, „ბაიერნი“).

საუკეთესო ქალი ფეხბურთელი: ნ. ანგერერი (გერმანია), რ. ბაჩმანი (შვეიცარია), კ. ბაჩმანი (კანადა), ა.ჰენრი (საფრანგეთი), ე. სომერი (საფრანგეთი), კ. ლლოიდი (აშშ), მ.მიიამა (იაპონია), მ. რეპინოე (აშშ), ს.შაშიჩი (გერმანია), ჰ. სოლო (აშშ).

ტევესი სანაკრებო მატჩებს გამოტოვებს

არგენტინის ეროვნული ნაკრები ნოემბრის მატჩებში „ბოკა ხუნიორსის“ ფორვარდს კარლოს ტევესს მოისაკლისებს. 31 წლის ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებს, რის გამოც მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბრაზილიასთან და კოლუმბიასთან შეხვედრებში მისი მონაწილეობა გამოირიცხა.

როგორც ცნობილია, ტრავმის გამო არგენტინელებს ვერც „ბარსელონას“ შემტევი ლიონელ მესი დაეხმარება.

არგენტინის ნაკრები ბრაზილიას 13 ნოემბერს საკუთარ მოედანზე უმასპინძლებს, კოლუმბიას კი 17 ნოემბერს სტუმრად დაუპირისპირდება.

მსოფლიოს ჩემპიონტის შესარჩევ სამხრეთამერიკულ ჯგუფში არგენტინელებს ორი ტურის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა აქვთ და ათ გუნდს შორის მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან.

პრემიერლიგაში ვარდი და ვენგერი გამოარჩიეს

ინგლისის პრემიერლიგაში ოქტომბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად „ლესტერის“ ფორვარდი ჯეიმი ვარდი აღიარეს, საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილი პრიზი კი ლონდონის“არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა მიიღო.

ვარდი 12 გოლით ინგლისის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის ლიდერობს, ხოლო მისი გუნდი 12 ტურში მოპოვებული 25 ქულით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. 28 წლის თავდამსხმელმა ოქტომბერში გამართულ ოთხ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა, ზედიზედ ათ შეხვედრაში გატანილი გოლებით კი რუუდ ვან ნისტელროის რეკორდი გაიმეორა.



რაც შეეხება არსენ ვენგერს, ფრანგი სპეციალისტის გუნდმა ოქტომბერში პრემიერლიგაში გამართული ოთხივე მატჩი მოიგო, 11 გოლი გაიტანა და მხოლოდ 1 გაუშვა. ლონდონელები ამ დროისთვის, „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად, 26 ქულით პრემიერლიგის სათავეში იმყოფებიან.

გიორგი შოთაძე

სანთელი

მეუღლე ლუირა კორაშვილი, შვილი ირაკლი, რძალი ინგა ლაშქარაშვილი, შვილიშვილი ივა ყულჯანიშვილი და ოჯახის ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვანო ყულჯანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 XI, 17 სთ. მისამართი: დ. გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) I კორპუსი, I სადარბაზო, მე-9 სართული. გამოსვენება: 12 XI, 14 სთ. საბურთალოს პანთეონის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიდან, უნივერსიტეტის ქ. 3 (ძმათა სასაფლაო).

ვანო ყულჯანიშვილის ხსოვნას

ჩვენო ძვირფასო ვანო!

ვისაც შენი კაცობა და მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ჭირსა და ლხინში გვერდით დგომა გამოუცდია, შეუძლებელია გული არ ტკენოდა შენი გარდაცვალების გამო.

ყოველმხრივ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ამ წუთისოფელში. გულდასაწყვეტია, რომ შენისთანა კაცები გვაკლდებიან! რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ღვთის ნება!

ნათელი დაგადგეს, ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო!

უღრმესი მწუხარებით,

ვახტანგ კიკნაძე, ელიზბარ ლომინაძე, ლაური მანაგაძე, კოტე ყიფიანი, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, ამირან გამყრელიძე, გესო კილასონია, პეტრე ბერაია, თემურ კალანდაძე, გურამ ყურაშვილი, გეჟან ხურციძე, მელორი ტყეშელაშვილი, ნუგზარ რუხაძე, გურამ გუნავა, ლაერტი დულაშვილი, ანრი ზურიკაშვილი, გივი გაწელაშვილი.

სპარტაკ ქობულია ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს უშიშროების (უსაფრთხოების) ერთგული ჯარისკაცი, დიდი პროფესიონალი, თანადგომისა და მეგობრობის, კაცობისა და ერთგულების, პატიოსნებისა და უბრალოების განსახიერება, ჭეშმარიტად ზნეობრივი პიროვნება და მამულიშვილი

ვანო ყულჯანიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და დიდ სამეგობროს.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს მეგობარსა და თანაგუნდელს ჯემალ გაგუნაშვილს ძვირფასი მეუღლის

ნანა გიგინეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს.

ალეკო კაკულია, ვაჟა ნადირაშვილი

◎ ინფორმაცია

ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა თანამდებობა დატოვა

ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმესთან დაკავშირებით, თბილისის პოლიციის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსმა გოჩა კასრაძემ თანამდებობა დატოვა.

ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსი კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი, ვიდრე გამოძიების დასრულებამდე არ დადგინდება ობიექტური ჭეშმარიტება.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე თბილისის პროკურატურაში პოლიციის ცალკეული თანამშრომლების მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 333 მუხლის მესამე ნაწილით გამოძიებაა დაწყებული.

„საქართველოს ბანკის“ ძარცვის საქმე გახსნილია

შსს-მ „საქართველოს ბანკიდან“ 10 მილიონამდე ლარის ქურდობის საქმე გახსნა. როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა , შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1971 წელს დაბადებული თამარ კ. და 1966 წელს დაბადებული მალხაზ ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ამჟამად ძებნაში მყოფი, 1977 წელს დაბადებული ილია გელაშვილი მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ სალარიდან 9 197 771 ლარს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა. გამოძიებით დადგინდა, რომ ნაქურდალი ფული თამარ კ-მ და მალხაზ ბ-მ წინასწარი შეთანხმების თანახმად გადამალეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, თამარ კ. და მალხაზ ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი ბინისა და სარდაფის ჩხრეკისას მოპარული თანხის ძირითადი ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ილია გელაშვილის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

◎ ეკონომიკა

ინდუსტრიული ზონები საქართველოში არ ამართლებს, მაგრამ მთავრობა არ ეშვება

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების იდეას ვერც ახალი ხელისუფლება ელევა, არადა, ფაქტია, რომ თიზ-ების მუშაობა ქვეყანაში არ ამართლებს. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს ინტენსიურად ხდება ახალი ინდუსტრიული ზონების დაანონსება.

ამჯერად ცნობილი გახდა, რომ

თბილისში ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ამოქმედდება. მთავრობის დადგენილებით ინდუსტრიული ზონა გლდანის რაიონში 17 ჰექტარზე მოეწყობა. ზონის მოქმედების ვადა 49 წელია. ინდუსტრიული ზონის ადმინისტრატორი კი შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკ“ იქნება. ახალი ინდუსტრიული ზონის მოქმედება არაუგვიანეს 30 ნოემბრიდან უნდა მოხდეს. ზონის ოპერატორი ვალდებულია თიზ-ის ტერიტორიაზე ზონის ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობები უზრუნველყოს. მათ შორის საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის და სპეციალური ტექნიკის განთავსება, საქონლის დათვალიერების ადგილის გამოყოფა. საბაჟო გამშვები პუნქტის ტექნიკური აღჭურვა, შემოსავლების სამსახურთან კავშირის უზრუნველყოფა.

პარალელურად, გლდანში ტექნოლოგიური მეგა ცენტრის მოწყობის შესახებ ბიტკოინის ლიდერმა საინვესტიციო კომპანია BiTfury-მ მიმდინარე წლის ზაფხულში განაცხადა. BiTfury-მ ქონების ეროვნული სააგენტოსგან გლდანის რაიონში 18 500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი შეიძინა BiTfury-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ვივილოვის განცხადებით, ისინი მოხარულები არიან საქართველოში ახალი პროექტის დაწყების გამო, რომელიც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიური ზონის შექმნას იმისათვის, რომ მოხდეს ტექნოლოგიის სექტორში თანამედროვე მოთამაშეების მოზიდვა, ასევე მეგა ცენტრის აშენება.

ამ ეტაპზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ქუთაისსა და ფოთში მოქმედებს და ისინიც მცირე დატვირთვით. დანარჩენი ზონები (რუსთავის, ბათუმის, თბილისის) პრაქტიკულად ჩანასახშივე გაუქმდა. ამ ბოლო დროს მთავრობამ ანაკლიაში კიდევ ერთი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებაც განაცხადა, მაგრამ რამდენად იმუშავებს, ძნელი სათქმელია, რადგან ჯერ ანაკლიაში პორტის მშენებლობა უნდა დაიწყოს.

თიზ-ების შექმნა საქართველოში წინა ხელისუფლების იდეა იყო. მათი ინიციატივით ქვეყნის მასშტაბით სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაც შეიქმნა: ფოთში, ქუთაისსა და ყულევში, თუმცა, საქართველოს მთავრობამ რამდნიმე წლის შემდეგ აღიარა, რომ პროექტმა არ გაამართლა.

მიუხედავად ამისა, ახალი ხელისუფლების პირობებში ტენდენცია გაგრძელდა. რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში არსებულ თიზ-ებში და გაამართლა თუ არა მფლობელების გათვლები ინდუსტრიულმა ზონებმა?

თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მკვლევარი ვახტანგ ლეჟავა ქართული თიზ-ების მენეჯმენტით კმაყოფილი არ არის და აცხადებს, რომ მათ მეტი უნდა იმუშავონ ახალი ინვესტორების მოსაზიდად. როგორც წესი, ასეთ ზონებში ოპერირებით, ძირითადად, გადამმუშავებელი და დამახარისხებელი კომპანიები არიან დაინტერესებულნი და მენეჯმენტმაც უნდა იზრუნოს, რომ სწორედ ასეთი კომპანიები მოიზიდოს.

ლეჟავას თქმით, ზოგადად ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები დაბალია, იქ თიზ-ის ამუშავება რთულია. საქართველო კი სწორედ ასეთი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება.

„ასეთ ქვეყნებში რთულია თიზ-ის ამოქმედება, რადგან საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, სხვაობა ზონასა და ჩვეულებრივ გადასახადს შორის არის ნაკლები. თუმცა, მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ თიზ-ის წარმატება მეტწილად არის დამოკიდებული თიზ-ის მენეჯმენტზე. ვფიქრობ, საქართველოში არსებული თიზ-ის მენეჯმენტმა მეტი უნდა გააკეთოს“, — განუცხადა „კომერსანტს“ ლეჟავამ.

ბექა დანელია

◎ ჯანსაღი კვება

წაიხემსეთ!

ჭარბი წონის პრობლემა ბევრს აწუხებს — როგორც ქალს, ისე მამაკაცს. წონის მომატებას ყველა ცდილობს თავი აარიდოს, მაგრამ ზოგჯერ შიმშილის გრძნობის დაძლევა ჭირს, ამიტომაც ჭამასა და ჭამას შორის ხშირად წავიხემსებთ ხოლმე. ამის მიუხედავად, მაინც ვცდილობთ, რომ ზედმეტ ჭამას თავი ავარდიოთ და, ვთქვათ, სადილამდე, პირი არაფერს დავაკაროთ.

სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ გარკვეულ დროს საკვების, ასე ვთქვათ, „ძირითად“ მიღებამდე, **წახემსება არა თუ მავნე, არამედ სასარგებლოც კი ყოფილა! სწორედ წახემსებით შეიძლება პატარ-პატარა ულუფებით კვება, რასაც ყველა დიეტოლოგი ერთხმად გვირჩევს.** წასაუზმება შიმშილის მძაფრ შეგრძნებას ანელებს, რაც საუზმის, სადილისა თუ ვახშმის მიღებისგან თავის შეკავებას გვიადვილებს. **როცა ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტას ვჭამთ, მაშინ ნივთიერებათა ცვლისთვის და, შესაბამისად, გახდომისთვის ხელსაყრელ პირობებს ვქმნით.**

ამასთან, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი, რომ წასახემსებლად საკვებს დაკვირვებით შერჩევა უნდა. **კარგი წასაუზმება, უწინარესად, მარგებელი კი უნდა იყოს, ოღნოდ ნაკლებად კალორიული. თუკი მჯდომარე სამუშაო გაქვთ და წონის მომატებას ერიდებით, მაშინ 150 კილოკალორიით უნდა შემოიფარგლოთ, მაგრამ თუ გახდომა გინდათ, მაშინ 100 კილოკალორიაც საკმარისია.**

მთავარია, რომ ამ დროს საკვები დიდი ოდენობით შაქარს არ შეიცავდეს. საკვების შუალედური მიღების ამოცანაა შიმშილის მოკვლა ერთი-ორი საათით და ამ ხნის მანძილზე მადის თავისუფლად გაკონტროლების შესაძლობის მიღება. **ამ ეფექტის მიღწევა ტკბილი საკვების მიღებით შეუძლებელია.** ტკბილეულის ჭამის შემდეგ შიმშილი უკან იხევს დიდი-დიდი ერთი საათით, მერე კი გაორმაგებული ძალით გვიტევს. ეს პროცესი სისხლში გლუკოზის შემცველობის მერყეობითაა გამოწვეული, რასაც ტკბილი საკვები იწვევს.

თანაც წასაუზმების დროს არ უნდა მივიღოთ ბევრი მავნე კომპონენტი, ვთქვათ, ნაირ-ნაირი „ქიმია“, ტრანსცხიმები.

ისმება კითხვა: როგორი სურსათი შეესაბამება ამ კრიტერიუმებს? ესენია, კერძოდ, **უცხიმო ხაჭო** ან **იოგურტი ორიოდე ნაჭერი მარცვეული პურით** — ამ საკვებში კალორიები ნაკლებადაა, ამავე დროს ორგანიზმი ცილების და რთული ნახშირბადების სოლიდურ ულუფას მიიღებს, რომლებიც შიმშილს მოგიკლავენ. ამის შეცვლა **ნაკლებად ტკბილი ვაშლით** შეიძლება, რომელიც ასევე ცოტა კალორიას შეიცავს, სამაგიეროდ, მასში მრავლადაა პექტინი და უჯროვანა, რომლებიც თან დაგანაყრებენ, თან საჭმლის მონელებასაც შეუწყობენ ხელს. სხვათა შორის, გემოთი ნეიტრალური ვაშლი არა მარტო შიმშილს, არამედ წყურვილსაც კლავს, თანაც ბევრ კალიუმს, C ვიტამინსა და ანტიოქსიდანტებს შეიცავს.

ასევე შეგიძლიათ **მუჭა ხილის ჩირით** ან **ნიგვზით** წახემსება — ისინი მეტად მარგებელია, თუმცა კი საკმაოდ კალორიული, ამდენად ერთ ჯერზე 30-40 გრამზე მეტის ჭამა არ ღირს.

კარგი იქნება, თუ არჩევანს **ზეითუნის ზეთის** ან **ლიმონის წვენით მოსხმულ ბოსტნეულის სალათაზე** შეაჩერებთ. შეგიძლიათ მიირთვათ **ბუტერბროდიც, ოღონდ მარცვლეული პურით, უცხიმო ხორცითა და სალათის ფურცლებით.**

ასე რომ, ვარიანტები მრავლადაა, არჩევანი თქვენზეა!

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

რეკლამა 293-37-87 მაჩაბლის ქ. №7.

ყურადღება!

დიდ დილომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **დებილი** ვიყავი, შენ რომ გამოგყევი!
— ეუბნება ცოლი ქმარს.
— ეეჰ, აბა, მაშინ რა ვიცოდი...

* * *

— **მამიკო**, რატომ მოიყვანე დედიკო ცოლად?
— ხედავ? ბავშვსაც უკვირს!

* * *

— **დედიკო**, მიშიკომ სულ გამწუწაااააა!
— არა უშავს, შვილო, შენც გაწუწე.
— როგორ გავწუწოოო, მე ხომ გოგო ვარ?

* * *

— **კი**, მაგრამ, შენ, ასეთმა ღვთისმოსავმა ადამიანმა, რატომ სცემე ასე სასტიკად ის კაცი?
— გამარტყა?
— მერე შენ არ იცი, ბიბლიაში რა წერია — ერთ ლოყაში რომ გაგარტყამენ, მეორე მიუშვირეო?
— მეც ეგრე ვქენი, მეორე მივუშვირე.
— მერე?
— მერე მეორეშიც გამარტყა.
— მერე?
— მერე ის, რომ მეორე ლოყაზე მანდ არაფერი წერია.

* * *

პირველი სექტემბერია, პირველკლასელი მიხო სკოლიდან ბრუნდება.
— რა გითხრეს, მიხო, სკოლაში?
— ეჰ, ათი წელი მომარჭვეს!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე